მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ინტერაქტიური მეთოდები

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ინტერაქტიური მეთოდები

თბილისი
2014

ძვირფასო მასწავლებლებო

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გამო აქტუალური გახდა სწავლისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდები. სახელმძღვანელოში მოცემულია:

ინტერაქტური სწავლების მეთოდები;

მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა;

რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდის გამოყენება;

თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობას;

თითოეული მეთოდის გამოყენების შედეგები.

სახელმძღვანელოში მასწავლებელი შეძლებს მრავალი საინტერესო ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებას, როგორც თავისი საქმიანობის ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ: მანანა ბოჭორიშვილი
ნათია ნამიჭეიშვილი
✝ ნანა ნაბულიშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ლია ახალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი.

ნახალები მომზადდა ასოციაცია „ზეკარის“ პროექტის ფარგლებში

© ასოციაცია „ზეკარი“, 2014

დაიბეჭდა გამომცემლობაში უსტარი
ISBN 978-9941-424-90-8

სარჩევი

1. **მასწავლებლის მიერ ინტერაქციის ფორმები** 5

   ინდივიდუალური, კონკურენტული, კოლაბორაციული.

2. **გონებრივი იერიში** 10

3. **როლური თამაში** 12

4. **დიდაქტიკური თამაში** 13

   სახალისო, სააზროვნო, ლოგიკური, განმავითარებელი,

   შემეცნებითი თამაშები.

5. **ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე** 16

6 **დისკუსია** 17

   მრგვალი მაგიდა, ფორუმი, სიმპოზიუმი, დებატები, სასამართლო სხდომა, სავარჯიშო სივრცე, სავარჯიშო აკვარიუმი, სავარჯიშო მიკროფონი, ალტერნატიული შეკითხვა, სუგესტიური შეკითხვა, კონტრშეკითხვა, დაბრუნებული შეკითხვა, დევიაციური შეკითხვა, რიტორიკული შეკითხვა, ემოციური შეკითხვა.

7. **პროექტები** 25

   მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროექტის ნიმუში, მასწავლებლის პროექტის ნიმუში.

8. **კოგნიტური სქემები** 35

   ვენის დიაგრამა, დროის დიაგრამა, T დიაგრამა, ძვლის დიაგრამა, მთავარი შეკითხვა, შედარება, გადაჯაჭვული ცნებები, პრობლემის გადაჭრის სქემა, მოვლენათა თანმიმდევრობა, სტყვების რუკა.

9. **მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში** 48

10. **შეკითხვის სახეები** 51

    ღია შეკითხვა, დახურული შეკითხვა, ჰიპოთეზური შეკითხვა, განსჯითი შეკითხვა, წამახალისებელი შეკითხვა, მასტიმულირებელი შეკითხვა, კვლევითი შეკითხვა, შემაჯამებელი შეკითხვა, შემათანხმებელი შეკითხვა.

11. **კუბის მეთოდი** 53

12. **აქტიური ლექცია** .... .55

13. **ასოციაციური კავშირების რუკა** 56

14. **ჯაჭვური თხრობა** . ... .57
15. **შეკითხვების დაფა** 59
16. **ცნების რუკა** .... .60
17. **ესე** 62
ახსნითი ესე, არგუმენტირებული ესე, კრიტიკული ესე, ფილოსოფიური ესე, სამეცნიერო ესე, ბიოგრაფიული ესე.
18. **ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი** 64
ინტერვიუ თვითმხილველთან, ინტერვიუ-პორტრეტი, აზრის გამოკითხვა.
19. **პრეზენტაცია** 70
20. **ქეისებით სწავლება** 72
სტრუქტურირებული ქეისი, მცირე მონახაზი, დიდი არასტრუქტურირებული ქეისი, პიონერული ქეისი.
21. **მკითხველთა თეატრი** 76
22. **წაკითხვა და შეკითხვების დასმა** 77
23. **სადისკუსიო ქსელი** 78
24. **ორსვეტიანი დღიური** 80
25. **კითხვები და პასუხები (კიპა)**..... 82
26. **მოთხრობის (ამბის) რუკა** .... .86
27. **მოთხრობის (ამბის) პირამიდა** 88
28. **წერის სახელოსნო** 90
29. **„რაფთ“ მეთოდი** .. .. .91
30. **„ბრილიანტი“** 94
31. **ბარათების გამოყენების ტექნიკა** 98
32. **გადაწყვეტილების მიღების/ არჩევნის მატრიცა** 101
33. **ვიზუალიზაცია — საქმეების გამოყენება** 103
სტრუქტურება, კლასტერები, სკალები, მატრიცა.
34. **სეგმენტური მეთოდი** 106
35. **ექსპერიმენტი** 108

1. მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ინტერაქციის ფორმები

სასურველი საწავლო მიზნების მისაღწევად მასწავლებელს სწავლების სხვადასხვა მიდგომების, მეთოდების, სტრატეგიების, გზებისა და საშუალებების გამოყენება უწევს.

კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანი ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობს, როცა იგი აქტიური და ქმედითია, და არა მაშინ, როდესაც მხოლოდ აქტიურ და ქმედით ინსტრუქტორს უყურებს ამ თვალსაზრისით, მხოლოდ სალექციო ტიპის შეხვედრები და მასწავლებლის მიერ ახალი მასალის მოყოლით ახსნა ნაკლებად სასურველია. მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ სხვა საშუალებებითაც, მაგალითად:

- წიგნებით;
- თანატოლებთან ურთიერთობით;
- მშობლებთან ურთიერთობით;
- საუბრებით გარეშე პირებთან;
- დაკვირვებით, აუდიო/ვიდეო მასალით;
- ინტერნეტით;
- კეთებით;
- ტესტით/დავალებით;
- საკუთარი გამოცდილებით და ა.შ.

თითოეული ეს საშუალება სწავლების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ, პედაგოგიური თვალსაზრისით კი, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვიყენებთ მათ.

მასწავლებელს ამის გათვალისწინებით იყენებს ინტერაქტიურ მიდგომას, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს: **ინდივიდუალური, კონკურენტული ან კოლაბორაციული.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მოსწავლის ინტერაქციის ფორმა – ინდივიდუალური

- რატომ ვაძლევთ ბავშვებს განათლებას?
- იმიტომ, რომ ისინი დამოუკიდებლები იყვნენ!
- როდის გამოადგებათ მათ დამოუკიდებლად ფიქრი, აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება?

- **მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი თავს დამოუკიდებელ პიროვნებებად იგრძნობენ!**

მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი მოსწავლის მიღწევა სრულებით არ არის დამოკიდებული სხვების წარმატება-წარუმატებლობაზე. მოსწავლეები კონკრეტული მიზნის მიღწევის პროცესში არ თანამშრომლობენ. ამ დროს ერთი მოსწავლის მიზანი არ არის დაკავშირებული თანაკლასელების მიზანთან, სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ თავთან და პედაგოგთან. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს აძლევს დავალებას, კონკრეტულ დროს მის შესასრულებლად და მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებლად.

გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს სასწავლო მიზნის მისაღწევად, ამ დროს მოსწავლე პასუხისმგებელია საკუთარი თავის, პედაგოგის წინაშე და მისი წარმატება არ არის დამოკიდებული სხვის წარმატებაზე, მოსწავლეთა ასეთ ინტერაქცია ინდივიდუალურია!

მოსწავლეთა ინტერაქციის ფორმა – კონკურენტული.

- რატომ ვაძლევთ ბავშვებს განათლებას?
- იმიტომ, რომ ისინი წარმატებულები იყვნენ!
- როდის გამოადგებათ მათ კონკურენტული უნარ-ჩვევები?
- მთელი ცხოვრების მანძილზე მათ მრავალჯერ მოუწევთ გამოცდების ჩაბარება, კონკურსში მონაწილეობა.

მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახულ ამოცანას იგი წარმატებით მიაღწევს და გაიმარჯვებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სხვა მოსწავლეებზე უკეთ შეძლებს ამოცანის გადაჭრას, სხვა მოსწავლეები მასთან კონკურენციაში დამარცხდებიან, რაც ნიშნავს, რომ თითოეული მოსწავლე დაინტერესებულია სხვა მოსწავლეზე/კონკურენტზე უკეთ შეასრულოს დავალება. ასეთი მუშაობისას ერთის წარმატება მეორეს წარუმატებლობაშია, მისი წარმატების საფუძველი სამუშაოს სხვაზე უკეთესად და მასზე სწრაფად შესრულებაა, მას არ ადარდებს თანაგუნდელის ინტერესები და კონცენტრირებულია მხოლოდ საკუთარ თავზე. პედაგოგი მთელ ჯგუფს აძლევს ერთ დავალებას და საუკეთესო შეფასებას უწერს მას, ვინც ყველაზე ადრე და სწორად გადაჭრის პრობლემას.

გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებლად სასწავლო მიზნის მისაღწევად და ცდილობს სამუშაო სხვაზე უკეთესად და სხვაზე სწრაფად შეასრულოს – მოსწავლეთა ასეთ ინტერაქცია კონკურენტულია!

მოსწავლეთა ინტერაქციის ფორმა – კოლაბორაციული

- რატომ ვაძლევთ ბავშვებს განათლებას? — იმიტომ, რომ მათ ისწავლონ, ითანამშრომლონ!
- როდის გამოადგებათ მათ კოოპერაციული ანუ სოციალური უნარ-ჩვევები?
- მთელი ცხოვრების მანძილზე ყველგან· სამსახურში, ოჯახში, მეგობრების წრეში...

მასწავლებელი გაკვეთილს, აქტივობას გეგმავს და ატარებს სტანდარტის მიხედვით მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

თანამშრომლობითი სწავლების შემთხვევაში თითოეული მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა თანაკლასელებთან თანამშრომლობაა. ერთის გამარჯვება ნიშნავს ყველას გამარჯვებას, რაც გულისხმობს გუნდური პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრებას და, ამავდროულად, ხელს უწყობს ნაკლებად სტრესული, უფრო ჯანსაღი, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. აქ მოსწავლე აღწევს დასახულ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი თანაგუნდელიც მასავით წარმატებულია, რადგანაც გუნდის/ჯგუფის წარმატება მისი თითოეული წევრის წარმატებას გულისხმობს. ჯგუფის წევრები არა მხოლოდ უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ დამოკიდებულნიც არიან ერთმანეთზე. პედაგოგი მოსწავლეებს ყოფს 3-4 კაციან ჯგუფებად, აძლევს მათ დავალებას და ყოველი ჯგუფი ვალდებულია ჩააბაროს ნამუშევარი, რომელშიც ასახული იქნება გუნდის მიერ ამოცანის ამოხსნის გზები და სწორი პასუხი. ჯგუფი გამოყოფს ერთ წევრს, რომელიც პრეზენტატორის როლს შეასრულებს.

გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ერთადერთი გზა თანაკლასელებთან (თანაგუნდელებთან) თანამშრომლობაა, ერთის გამარჯვება ნიშნავს ყველას გამარჯვებას, რაც გულისხმობს ერთობლივი მიზნის მისაღწევად გუნდური პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრებას – მოსწავლეთა ასეთი ინტერაქცია კოლაბორაციულია!

ზემოთ აღწერილი სამივე სახის სწავლება სასწავლო პროცესის სხვადასხვა ტიპის მეთოდებითა და აქტივობებით დატვირთვას გულისხმობს, როგორებიცაა: სიმულაციები და როლური თამაშები, პროექტები და კვლევები, შეჯიბრებები, ვიზუალური მასალის გამოყენება, პრეზენტაციები, მეტაფორები და ანალოგიები... აქტივობები ცოდნის ორგანიზებისა და გამეორებისათვის, საბაზრო კითხვები, ჯგუფებში, წყვილებსა და ტრიადებში მუშაობა და სხვ. სწავლების სტრატეგიები, სწავლა რომ სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ

გამოწვევად იქცეს, პედაგოგმა თავისი სწავლება სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დატვირთოს.

მასწავლებელმა ეს ყველაფერი თვითონ უნდა შეუზავოს ერთმანეთს! ინტერაქტიური სწავლა/სწავლების მთელი ეფექტი, სილამაზე და მომხიბვლელობა ამ სამივე ფორმის შემოქმედებითი ნაზავია!

გთავაზობთ მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ინტერაქციის სხვადასხვაგვარად ორგანიზების მაგალითს.

კლასი: VII

საგანი: მათემატიკა

სამუშაო: ამოსახსნელია 3 ამოცანა (მაგალითი)

იმის მიხედვით, თუ სასწავლო მიზნის შესაბამისი, რომელი უნარ-ჩვევების განვითარება აქვს მასწავლებელს დასახული, მას შეუძლია სხვადასხვა ფორმით მისცეს მოსწავლეებს სამუშაო.

1. ინდივიდუალური

მასწავლებელი: გეძლევათ 20 წუთი იმისათვის, რომ ინდივიდუალურად ამოხსნათ ეს ამოცანები. დროის გასვლის შემდეგ თქვენ შეწყვეტთ წერას, მე ავკრებ რვეულებს და გადავალ სხვა სამუშაოზე. თქვენი ნამუშევარი შეფასდება შემდეგნაირად:

პირველი ამოცანა – 3 ქულა

მეორე ამოცანა – 3 ქულა

მესამე ამოცანა – 4 ქულა

2. კონკურენტული

მასწავლებელი: თქვენ გეძლევათ ამოსახსნელად ეს სამი ამოცანა და მაქსიმუმ 15 წუთი იმისათვის, რომ ამოხსნათ სამივე ამოცანა. 10 ქულით შევაფასებ იმ პირველ სამ მოსწავლეს, ვინც ყველაზე სწრაფად და სწორად ამოხსნის ამოცანებს. აბა, დავიწყოთ. ხელით მანიშნეთ, ვინც დაამთავრებს!

3. კოლაბორაციული

მასწავლებელი კლასს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად. ყველა ჯგუფს აძლევს ამოსახსნელად 3 ამოცანას და დროს 30 წუთს. სთხოვს ამოხსნან ამოცანები, ერთ ფურცელზე გააფორმონ და ჩააბარონ პედაგოგს. შემდეგ მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ურიგებს შემდეგი სახის კითხვარს. მუშაობის ბოლოს გუნდის თითოეული წევრი ავსებს კითხვარს, სადაც აღწერს საკუთარ როლს დავალების წარმატებით შესრულებაში.

კითხვარი გუნდის თითოეული წევრისათვის / ნიმუში

1. კმაყოფილი ხართ? / რას გრძნობთ? _____
2. რა იყო ყველაზე კარგი ჯგუფური მუშაობისას? _____
3. რა გააკეთეთ ისეთი, რაც თქვენ გუნდს დაეხმარა? _____
4. რას გააკეთებთ შემდეგში გუნდური მუშაობის ეფექტურობისათვის?

_____

მასწავლებელი ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების რა ეტაპზე არიან მისი მოსწავლეები.

ინტერაქტიურ სწავლებას პედაგოგიკაში სწავლების, კლასის მართვის და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები შემოაქვს. იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მოსწავლე, ინტერაქტიური სწავლების სუბიექტი, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის არსებული ცოდნა, პირადი გამოცდილება.

დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით მოსწავლეთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და საჭირო უნარ- ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება.

2. გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში, დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის იდეების გენერაციის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდის გამოყენება, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო საქმეში მონაწილეობის გზით, საერთო პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს:

- კომუნიკაციის,
- შემოქმედებითი აზროვნების,
- საკუთარი აზრის გამოთქმის,
- ინფორმაციის დახარისხების,
- მსჯელობის, ანალიზის,
- შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას.

მეთოდის ჩატარების წინაპირობა:

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული წინარე ცოდნა შესასწავლ საკითხზე.

გონებრივი იერიშის ჩატარების წესი/პროცედურა:

მასწავლებლის მიერ, სასწავლო მიზნის შესაბამისად ხდება თემის წინასწარი შერჩევა და შეკითხვის სახით ჩამოყალიბება. შეკითხვას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთათვის გასაგები ფორმა და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. გონებრივი იერიში ორ ეტაპს მოიცავს.

I. იდეების გენერაციის ეტაპი

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელი სვავს შეკითხვას. შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს იდეების გენერაციის სტადიაზე დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

1. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მათ შეუძლიათ გამოთქვან რამდენიმე მოსაზრება. იდეა შეიძლება იყოს, როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის განვითარების შედეგი.
2. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს არ უნდა დაუშვათ კამათი, მოსაზრების კრიტიკა ან შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით: ყველა მოსაზრება მისაღებია.
3. იდეების გენერაციის სტადიაზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა უნდა მოხდეს გენერაციის ეტაპის დასრულების შემდეგ (შეფასების ეტაპი).

4. ყველა იდეა უნდა დაიწეროს დაფაზე ან დიდ ქაღალდზე, მათ შორის, ყველაზე მიუღებელიც კი.
5. შეფასების წინ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ დაფიქრების საშუალება.
6. იდეების გენერაციის პერიოდის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს სხვადასხვა. გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ როდის (იმავე გაკვეთილზე თუ მომდევნო დღეს) უნდა დაიწყოს შეფასების ეტაპი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები უნდა ეწეროს დაფაზე ან კედელზე გაკრულ დიდ ქაღალდზე.

II. ***იდეების შეფასების ეტაპი***

შეფასების ეტაპის დასაწყისში უნდა მოხდეს გამოთქმული მოსაზრებების მოკლე მიმოხილვა. მოსწავლეებს უნდა დავუსვათ შეკითხვები და გავარკვიოთ, თუ რომელი მოსაზრებებია მსგავსი და შესაძლებელია თუ არა მათი გაერთიანება და განზოგადება. მსგავსი იდეების გაერთიანების შემდეგ შესაძლებელია მცირე დისკუსიის მოწყობა მათ ავკარგიანობაზე. ამის შემდეგ უნდა მოხდეს მათი რანჟირება ანუ თითოეულ მოსწავლეს მიეცეს საშუალება ამოირჩიოს რამდენიმე, მისი აზრით, ყველაზე ფასეული იდეა და განალაგოს ისინი მნიშვნელობის მიხედვით (ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა შეაფასოს ყველაზე მაღალი ქულით). ქულების შეჯამების შემდეგ გამოიკვეთება რამდენიმე იდეა, რომელიც, საერთო ჯამში, კლასის მიერ არჩეულია ყველაზე ღირებულად.

მასწავლებელმა სასწავლო მიზნის გათვალისწინებით, შესაძლოა, შეცვალოს შეფასების ეტაპი. მაგ., ძირითადი აქცენტი გადაიტანოს დისკუსიაზე, მოახდინოს იდეების შეფასება მოსწავლეებთან შეთანხმების გზით. თუმცა, ეს შეთანხმება არ უნდა იყოს ხელოვნური და მასწავლებლის მიერ თავზე მოხვეული.

3. როლური თამაში

როლური თამაშის დროს მოსწავლეებს შორის დანაწილდება როლები. ეს ეხმარება მათ აზრებისა და ქმედებების უკეთ გაგებაში

როლური თამაში, ხელს უწყობს:

- საკითხის გააზრების,
- დისკუსიის,
- პრეზენტაციის,
- შემოქმედებითი აზროვნების და როლური ქცევის უნარ-ჩვევის განვითარებას.

მეთოდის გამოყენების წინაპირობა:

მასალა უნდა იძლეოდეს სიმულაციის საშუალებას და ქცევები რომლის გათამაშებაც ხდება, უნდა ექვემდებარებოდეს განსჯას.

როლური თამაშის ჩატარების ეტაპებია:

- როლების გათამაშებისათვის სათანადო გარემოს შექმნა,
- როლების განაწილება,
- გათამაშება,
- რილიდან გამოსვლა
- დისკუსია,
- შეჯამება

სავარჯიშოსთვის მასწავლებელი ირჩევს ტექსტს (ტექსტი შეიძლება იყოს ლიტერატურული, საბუნებისმეტყველო, მათემატიკური, სოციალური...), ამბავს რეალური ცხოვრებიდან, ან მოსწავლეებთან ერთად თხზავს ისტორიას საჭირო თემაზე–სასწავლო მიზნის შესაბამისად და ახდენს როლების განაწილებას. როლების განაწილება შეიძლება მოხდეს მასწავლებლის მიერ, მოსწავლეების არჩევით ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ამის შემდეგ ხდება როლების გათამაშება. მოსწავლეები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ თავიანთ როლებს. გათამაშების დამთავრების შემდეგ მოსწავლე უნდა გამოვიდეს როლიდან და ისე ჩაერთოს დისკუსიაში. ასეთი ტიპის თამაში მოსწავლეს აძლევს საშუალებას კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი პერსონაჟი, ისე სხვა მოქმედი გმირები.

4. დიდაქტიკური თამაში

ცოდნის მიღების, განმტკიცების და სასწავლო უნარ-ჩვევების განსავითარებლად ხშირად გამოიყენება სახალისო, შემეცნებითი სავრჯიშოები — დიდაქტიკური თამაშები.

დიდაქტიკური თამაში საშუალებას იძლევა მოხდეს:

- წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარება,
- აზროვნების განვითარება,
- ყურადღების უნარ-ჩვევის გამომუშავება,
- სპეციფიკური უნარ-ჩვევის გამომუშავება,
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარება,
- კომუნიკაციური უნარების განვითარება

დიდაქტიკური თამაშები არის შემდეგი ხასიათის

1. სახალისო,
2. სააზროვნო,
3. ლოგიკური,
4. განმავითარებელი,
5. შემეცნებითი.

წარმოდგენილი დიდაქტიკური თამაშები ორ ჯგუფად იყოფა

I ჯგუფი	II ჯგუფი
ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს, ბავშვის აზროვნება ლოგიკურ ფორმას იძენს, მაგრამ მაინც აღქმით არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი პრობლემას მხოლოდ საკუთარი მოლოდინის მიხედვით განიხილავს.	ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშისას ბავშვები აღარ უშვებენ შეცდომებს კლასიფიკაციის დროს, იმიტომ, რომ აზროვნება აღარ არის მხოლოდ აღქმით შემოფარგლული. დიდაქტიკური თამაშის გართულება იმით არის გამოწვეული, რომ ამ პერიოდში (7-11წ) წარმოიშობა მასის, მოცულობისა და წონის მუდმივობის... ძირითადი ცნებები; ხოლო ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ ბავშვები ხშირად წყვეტენ ამოცანებს რეალურ საგნებზე, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ ფორმალურ დონეზე – აზრობრივად, წარმოსახვით

დიდაქტიკური თამაშები 5-7 წ მოსწავლეებისათვის

დიდაქტკური თამაში – ტყუილია თუ მართალი?

მასწავლებელი ან წამყვანი მოთამაშე ამბობს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოთამაშე ამბობს „სწორია“ თუ აზრი არასწორია, მოთამაშე ამბობს „არასწორია“

მაგალითად:

- ატამი უკურკოა /არასწორია/.
- ვაშლის ნაყოფი ლურჯია /არასწორია/.
- იხვი წყალში დაცურავს /სწორია/.
- ყვავი მგალობელი ფრინველია /არასწორია/.
- მერცხლები გაზაფხულზე მოფრინავენ თბილი ქვეყნებიდან /სწორია/.

დიდაქტკური თამაში - დავასახელოთ დეტალები!

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს რაიმე საგანს. მოსწავლე უნდა ეცადოს, დაასახლოს რაც შეიძლება მეტი დეტალი..

მაგალითად – კომპიუტერი
მოსწავლე ასახელებს:
ეკრანი, კლავიატურა, მაუსი, ვიდეოთვალი, დინამიკი..

მაგალითად – რვეული
მოსწავლე ასახელებს:
ყდა, ფურცელი, სანიშნი..

დიდაქტკური თამაში — „მებაღე”

„მებაღე მოსწავლემ“ უნდა მოიფიქროს და დაასახელოს 3, 4, 5 ხილის სახელი..

მოსწავლეები ასახელებენ. ერთი და იგივე ხილის გამეორება არ შეიძლება. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა დასახელებულ მცენარეებს და დაფაზე **„ბაღის პანორამა“** მიიღება.

შემდეგ მასწავლებელი სვავს შეკითხვას:
მარწყვი რომ მოკრიფო, ხეზე უნდა ახვიდე?
მოცხარი რომ მოკრიფო, ხეზე უნდა ახვიდე?
ბალი რომ მოწყვიტო, ბალახის ფოთლები უნდა გადაწიო ფრთხილად?

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სამ სვეტიან ცხრილს და შიგ წერს: ხე, ბუჩქი ბალახი. მოსწავლეები დასახელებულ ხილს შესაბამისად აჯგუფებენ.

ხე	ბუჩქი	ბალახი
ვაშლი მსხალი ატამი კომში	მოცხარი ჟოლო თხილი	მარწყვი

დიდაქტიკური თამაშები 7-11წ მოსწავლეებისათვის

7-11 წ მოსწავლეებს შეიძლება გავურთულოთ დიდაქტიკური თამაშები, რადგან ისინი კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან.

— რა არის ოპერაცია?

ოპერაცია – ეს არის გონებრივი აქტივობა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ წესს ეყრდნობა.

ახლა დავაკონკრეტოთ ის ლოგიკური წესები, რომელსაც გონებრივი აქტივობა ეყრდნობა:

ოპერაციებში ორი ლოგიკური წესი მონაწილეობს – შექცევადობის და იგივეობის.

შექცევადობა	იგივეობა
შექცევადობა – ნებისმიერი ოპერაციისათვის არსებობს საპირისპირო ოპერაცია, რომელიც აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას. (6-4 = 2; 2+4= 6) ხე შემოსილია ფოთლებით!... ხეს ფოთლები დასცვივდა – ხე შეიმოსა ფოთლებით!?	იგივეობა – ნებისმიერი ოპერაციისათვის არსებობს ოპერაცია, რომელიც არაფერს არ ცვლის. (2X1=2; 2X1X1=2)

ამ ეტაპზე მყოფ მოსწავლეს ესმის „შენახვის“ ცნება, ანუ შეუძლია იმის გაცნობიერება, რომ რაოდენობა და მოცულობა არ იცვლება იქამდე, ვიდრე არ დაემატება ან მოაკლდება რამე.

5. ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე

ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში ტექსტზე მუშაობისას, რაც ამზადებს მოსწავლეს მასალის მთლიანობაში გააზრებისათვის; გვიჩვენებს, რა არის მოცემულ ტექსტში მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი; გვიჩვენებს, რა ისწავლა მან ამ ტექსტით;

მეთოდი ავითარებს:

- ინფორმაციის დახარისხების უნარ-ჩვევებს;
- აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას;
- ავითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევებს;
- ავითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

ეს სტრატეგია გამოიყენება ინდივიდუალური, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისას

გამოყენების წინაპირობა:

მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გარკვეული წინარე ცოდნა, ტექსტი ახალ ინფომაციას უნდა შეიცავდეს და მოსწავლეში აღძრავდეს ცნობის-მოყვარეობას.

გამოყენების წესი:

I ეტაპი: მასწავლებელი, სასწავლი მიზნიდან გამომდინარე, აცნობს მოსწავლეებს, რა საკითხს ეხება წასაკითხი ტექსტი და სთხოვს, შეავსონ სქემა, რისთვისაც მათ უნდა გაიხსენონ და პირველ გრაფაში ჩაწერონ ყველაფერი, რაც იციან, ან ჰგონიათ, რომ იციან მოცემული საკითხის შესახებ;

მეორე გრაფაში შეკითხვების სახით ჩამოაყალიბონ, რისი გაგებაც აინტერესებთ ამ საკითხის შესახებ.

II ეტაპი: ეს ეტაპი კითხვის დასრულების შემდეგ იწყება და მდგომარეობს იმაში, რომ სქემის მესამე გრაფაში მოსწავლეები წერენ იმას, რაც ისწავლეს.

სქემის ნიმუში ასეთია:

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

ეს არის მეთოდი, რომელიც კარგია განვლილი მასალის გასახსენებლად, ახალ მასალასთან დასაკავშირებლად და კონკრეტული თემის შესაჯამებლად.

6. დისკუსია

ინტერაქტივის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს დისკუსია. იგი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა:

- აქტიური მოსმენა,
- საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია,
- მსჯელობა;
- სხვისი აზრის მოსმენა-გათვალისწინება;
- დასკვნების გამოტანა;
- კომუნიკაციის ენები;
- კოლაბორაციური უნარები.

გამოყენების წინაპირობა:

მოსწავლეს კარგად უნდა იცნობდეს საკითხს, რათა არ გაუჭირდეს არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმა დისკუსიისას.

დისკუსია რომ წარმატებით ჩატარდეს, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შეიმუშაოს წესები, რაც კლასში შექმნის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს.

წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

1. როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
2. აიწიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
3. არ გააწყვეტინო სხვას სიტყვა;
4. არ უნდა გაიცინო, როცა სხვა ლაპარაკობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხუმრობს;
5. კამათში ყველა მონაწილეობს.
6. და სხვა წესები (რასაც კლასი დამატებით შემოგვთავაზებს).

წესების შემოღების შედეგ, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, ხდება კონკრეტული შემთხვევის აღწერა (ტექსტის წაკითხვა, ილუსტრაციების, ფილმის ჩვენება, მელოდიების მოსმენა) და აქედან გამომდინარე, პრობლემის დასმა – მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს პრობლემურ კითხვებს. მოსწავლეები ებმებიან დისკუსიაში.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

„მრგვალი მაგიდა“ — საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფი /4-5 კაცი/, ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა ჯგუფებთან.

„ფორუმი“ — ჯგუფს უძღვის წინასწარ დანიშნული ლიდერი. ჯგუფი

საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება.

„სიმპოზიუმი“ მონაწილეები გამოდიან ინფორმაციებითა და დასკვნებით, ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, აგრეთვე, უპასუხებენ კლასის შეკითხვებს.

„დებატები“ — დებატების არსია: შეასწავლოს მოსწავლეებს მრავალი განსხვავებული კუთხიდან მიუდგნენ წინააღმდეგობრივ პრობლემებს და კრიტიკული თვალით შეხედონ მათ წინაშე მდგომ ყოველ საკითხს. ეს კი შესანიშნავი საშუალებაა მოზარდებში ისეთი თვისებების განვითარებისათვის, რომლებიც მათ დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებებად ჩამოაყალიბებს. დებატების ჩატარება აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. მათ შემდეგ ტრიბუნა ეთმობა თითოეული მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის უნდა დაადგინოს განსაზღვრული დრო.

„სასამართლო სხდომა“ — განსჯა, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის, განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.

დისკუსიის აგების მრავალი ხერხი არსებობს. მათი სწორად შერჩევით და მონაცვლეობით მასწავლებელი ადვილად ახერხებს იმგვარად წარმართოს დისკუსია, რომ მოსწავლეების კამათმა უმართავი ხასიათი არ მიიღოს და შეუძლებელი არ გახდეს მათი გაკონტროლება.

მასწავლებელმა თვალი უნდა მიადევნოს დისკუსიის მსვლელობას, რათა იგი წინასწარ დაგეგმილი მიზნისკენ წარიმართოს. თუ კამათი სხვა კუთხით წარიმართა, მასწავლებლის მოქნილი მოქმედება მას საჭირო კალაპოტში ჩააყენებს.

დისკუსიის აგების სხვადასხვა ხერხი არსებობს:

1. სტრუქტურულ-თემატიკური დისკუსია – **სავარჯიშო სივრცე**

დისკუსიის მონაწილეები ერთმანეთთან ახლოს უნდა ისხდნენ, ისე, რომ ერთმანეთის სახეებს ხედავდნენ. შესაძლებელია, სკამები „ნალისებურად“, ნახევარწრეზე დავალაგოთ. ამგვარი ცვლილება კლასში ნაკლებ ფორმალურ ატმოსფეროს ქმნის და პასიურ მოსწავლეებსაც კი დისკუსიაში ჩართვას უადვილებს დაფაზე მასწავლებელი წერს სადისკუსიო თემას და საკითხებს. თუ კამათი მეტისმეტად გაცხარდება და გასცდება პრობლემატიკას, მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს სადისკუსიო თემას. მთავარია, მასწავლებელმა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა მონაწილის იმგვარი ჩართვა, რომ მათ არ წამოიძახონ საკუთარი აზრი და ერთმანეთს სიტყვა არ შეაწყვეტინონ.

სავარჯიშო „აკვარიუმი“

მონაწილეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ თანმიმდევრულად, ისე, როგორც სხედან წრეზე, 3-წუთიანი რეგლამენტით.

მასწავლებელი წინასწარ აძლევს ინსტრუქციას:

ა) მოძებნეთ ასოციაცია მოცემულ თემაზე;

ბ) კითხვაზე გაეცით მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი და დაასაბუთეთ;

გ) დაასრულეთ მასწავლებლის მიერ დაწყებული წინადადება.

სავარჯიშო „მიკროფონი“

სავარჯიშო „მიკროფონი“ მასწავლებელს ეხმარება დისკუსიის მშვიდად მართვაში. მოსწავლეები იცავენ შემოთავაზებულ სადისკუსიო წესს — ამ შემთხვევაში, ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ (მიკროფონი შეიძლება პირობითად იყოს კალმისტარი, ფანქარი და ა.შ.).

დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა განსაზღვროს და ჩამოწეროს ის მთავარი, აქტუალური საკითხები, რაც გამოიკვეთა დისკუსიის მსვლელობისას. მასწავლებელი მხოლოდ ადასტურებს მათ აზრს და ეხმარება მოსწავლეებს აზრის სწორად ფორმულირებაში.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მიერ ჩამოთვლილი საკითხები ბევრია, მოსახერხებელია დებულებათა იერარქიაზე დამყარებული მიდგომის გამოყენება.

ა) მრავლიდან ერთის, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანის ამორჩევა;

ბ) აქტუალურობის მიხედვით რამდენიმე დებულების არჩევა;

გ) დებულებების იმ კრიტერიუმების მიხედვით დალაგება, რომელთაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წინასწარ განსაზღვრავს.

შეკითხვის დასმა და პასუხზე ეფექტური რეაგირება დისკუსიისას

დისკუსიის წარმატება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის შეკითხვა. შეკითხვით დიალოგში შევდივართ აუდიტორიასთან. დიალოგის რეჟიმში არ არსებობს შეკითხვების ავტორისა და მოპასუხის მკაცრად განსაზღვრული როლები. არავის არა აქვს სიტუაციის ფლობის ექსკლუზიური უფლება. სწორედ, „შეკითხვების რეჟიმი“ წარმოადგენს ახალი ცოდნისკენ მიმავალ გზას. ცოცხალ დიალოგს ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ შეგვიძლია დავსვათ ღია შეკითხვები, სხვებს ვაძლევთ საკუთარი მოსაზრებების ღიად გამოთქმის შესაძლებლობას და არ ველოდებით მათგან წინასწარ ჩვენს მიერ მოფიქრებულ „სწორ“ პასუხებს.

შეკითხვების გამოყენებით, დისკუსიის წამყვანს შეუძლია:

- **აუდიტორიის გააქტიურება** – საკუთარი მოსაზრებებისა თუ ცოდნის დემონსტრირების შესაძლებლობის მიცემა;
- **გამოცდილების გაზიარების სტიმულირება** – დისკუსიის მონაწილეებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებები, შეადარონ საკუთარი მოსაზრებები სხვებისას.
- **სიტუაციის გაგება** – ფასილიტატორი ხელს უწყობს მონაწილეებს, რომ მათ საკუთარი პრობლემების ჩამოთვლა და სისტემატიზირება (სტრუქტურირება) მოახდინონ;
- **სხვისი აზრის გაგება** – დისკუსიის პროცესში, წამყვანი ცდილობს, მეტი გაიგოს მონაწილეების საკითხისადმი/შეკითხვისადმი გაჩენილ დამოკიდებულებაზე, მოსაზრებაზე, ემოციებზე;
- **იმის გადამოწმება, გასაგებია თუ არა განხილული საკითხი** – საწინააღმდეგო შემთხვევაში, არ შეიძლება მომდევნო საკითხზე გადასვლა.
- **სიტუაციის შეფასება** – უკუკავშირის მიღება. შეკითხვები სამუშაო სიტუაციის ანალიზის და შეფასების გაკეთებაში გვეხმარება.

დისკუსიის წარმატება თავად შეკითხვაზეა დამოკიდებული. თუკი დისკუსიის წამყვანს სურს, კარგი შეკითხვა დასვას, მან უნდა:

1. **იპოვოს შეკითხვისათვის შესაფერისი მომენტი;**
2. **დასვას შესაფერისი კითხვა;**
3. **სწორად შეარჩიოს შეკითხვის ფორმა.**

ცნობილია, შეკითხვა შედგება შინაარსისა და ფორმისაგან; ყველა კითხვა რაიმე შინაარსს უნდა მოიცავდეს; ფორმის მიხედვით კი არსებობს ორი დიდი ჯგუფი დახურული და ღია შეკითხვები.

დახურული შეკითხვა	ღია შეკითხვა
დახურულია შეკითხვა თუ მისი პასუხები წინასწარ განსაზღვრულია დახურულ შეკითხვაზე პასუხს დიდი დრო არ სჭირდება; ჩევულებრივ, დახურული შეკითხვის შემთხვევაში ადამიანს უხდება პასუხის შერჩევა და არა შექმნა	ღია შეკითხვას წინასწარ განსაზღვრული პასუხები არ აქვს მას შეიძლება მრავალი პასუხი ჰქონდეს; ღია შეკითხვა შესაძლებელია სხვადასხვა მიზანით დაისვას, როგორიცაა პასუხის დაკონკრეტება, პასუხის კიდევ უფრო გავრცობა, ახსნა-განმარტების მიცემა და ა შ

გარდა ზემოთ აღწერილი შეკითხვების ორი დიდი კატეგორიისა (ღია და დახურული შეკითხვები), გამოყოფენ დისკუსიისას გამოყენებულ შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

1. **ალტერნატიული შეკითხვა;**
2. **სუგესტიური შეკითხვა;**
3. **კონტრშეკითხვა;**
4. **დაბრუნებული შეკითხვა.**

ალტერნატიული შეკითხვა – შეკითხვაში ასარჩევად შეთავაზებულია ორი ან მეტი ალტერნატივა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის შეკითხვა, რომელშიც ასარჩევად არის მოცემული პასუხის რამდენიმე ვარიანტი.

მაგალითად, „რა უფრო გიყვარს, ცურვა თუ - თხილამურებით სრიალი?“

სუგესტიური შეკითხვა - ამგვარი შეკითხვით, მანიპულაციით ხდება პარტნიორისაგან თანხმობის მიღება მაგალითად: **„დარწმუნებული ვარ, როგორც ამ საკითხის მცოდნე დამეთანხმებით, რომ ...“**

კონტრშეკითხვა – შეკითხვა მსმენელს პასუხის გაცემისაკენ უბიძგებს ზოგჯერ, ამგვარი ზეწოლის თავიდან აცილებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთი მეთოდი - შეკითხვის არეკვლა, ანუ შეკითხვაზე სხვა შეკითხვით პასუხი.

დაბრუნებული შეკითხვა ეს არ არის შეკითხვის დამოუკიდებელი ფორმა, არამედ შეკითხვაზე რეაგირების სპეციფიური სახეა. ამ დროს ხდება შეკითხვის დაბრუნება შეკითხვის ავტორისათვის. მაგალითად: **„საინტერესო შეკითხვაა, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? რას ფიქრობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები?..“**

დისკუსიის მონაწილეების მხრიდან წამოსული შეკითხვებიც შეგვიძლია რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფოთ. დისკუსიის წარმართვისას მასწავლებელმა მნიშნელოვანია იცოდეს, რა ქვეტექსტია ჩადებული კონკრეტულ შეკითხვაში, რომ მასზე სწორი რეაგირება მოახდინოს.



- **თემის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები** – არ შეიძლება მომდევნო თემის განხილვაზე გადასვლა, თუკი წინა კითხვას პასუხი არ გაეცემა, რადგანაც მონაწილეები ვერ გაიგებენ თემას ისე, როგორც საჭიროა. პასუხის დეტალურობა სიტუაციაზეა დამოკიდებული – შეკითხვა შეიძლება დავუსვათ ერთ მონაწილეს ან თემის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვაში მთელი ჯგუფი ჩავრთოთ. ეს შეიძლება გაკეთდეს შეკითხვის ჯგუფისათვის შებრუნებით და მონაწილეებისათვის მასზე პასუხის გაცემის თხოვნით. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია (თუნდაც მოკლე ფორმით), მნიშვნელოვანია, ძირითადი დასკვნების გამეორება.
- **პრაქტიკული შეკითხვები** – ასეთი ტიპის შეკითხვები შეიძლება ინტერესის გამომხატველი შეკითხვების სპეციალური ვერსია იყოს. ეს შეკითხვები თემის/საკითხის პრაქტიკული მხარის მიმართ ინტერესის მაჩვენებელია. კონკრეტული მითითებები უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ – თუკი მონაწილეებმა იციან, როგორ გამოადგებათ გარკვეული გამოცდილება თუ ცოდნა მომავალში, მათი მოტივაცია

იზრდება. მოქმედებების დეტალური გეგმის შემუშავება შეიძლება გადაიდოს მოგვიანებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ამ თემის ირგვლივ პრაქტიკული სავარჯიშოებია დაგეგმილი.

- **შეკითხვები, რომლებიც ეხება თემის მნიშვნელოვნობას/ აქტუალობას** – „რატომ უნდა გავაკეთოთ ეს?" ან „რა საჭიროა?" ეს შეკითხვები იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები ვერ ხედავენ ინფორმაციის მნიშვნელოვნებას (ვერ ხვდებიან, რისთვის არის აუცილებელი). მათ სურთ, რომ დარწმუნებულები იყვნენ თემის მნიშვნელოვნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მოტივაცია დაეცემა. შეიძლება ამ შეკითხვის შებრუნება ჯგუფისათვის და მათთვის პასუხის გაცემაში დახმარების გაწევა მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებით.

- **თემისგან შორს მყოფი შეკითხვები/დევიაციური შეკითხვები** – ერთი შეხედვით, ასეთი შეკითხვები პრაქტიკულ ან თემის მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებულ შეკითხვას ჰგავს, მაგრამ რეალურად ამ შეკითვის დასმის მიზანი მასზე პასუხის მიღება არ არის. მისი ამოცანა თემიდან ყურადღების გადატანაა. ასეთი ტიპის შეკითხვებს ხშირად ის ადამიანები სვამენ, ვინც არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში და მორცხვად გრძნობენ თავს დისკუსიის/თემის განხილვის პროცესის დაწყების წინ. ასეთი შეკითხვები შეიძლება იმის მიმანიშნებელიც იყოს, რომ მონაწილეები თავს გადატვირთულად გრძნობენ – ისინი სვამენ ბევრს შეკითხვას და თან ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პასუხებით. წამყვანი უნდა შეეცადოს, დაუბრუნოს დისკუსია ძირითად თემას.

- **რიტორიკული შეკითხვები/ზეგავლენის მომხდენი შეკითხვები** – რიტორიკული შეკითხვა უკვე შეიცავს პასუხს. ეს არის შეკითხვის ფორმა, რომელშიც თავისთავად იგულისხმება „სწორი პასუხი". შეკითხვის ეს ფორმა გამოიყენება საწინააღმდეგო აზრის ჩასახშობად. მაგ: „როდესაც ადამიანი თავს არიდებს პასუხს, ე.ი. რაღაც დასამალი აქვს, არა?" ასეთ შეკითხვას ხშირად ისეთი მონაწილე სვამს, რომელსაც სურს, რომ იგი ექსპერტად აღიარონ, მას საკუთარი ცოდნისა და პოზიციის გამოვლენის სურვილი აქვს. ხშირად, რიტორიკული შეკითხვის ფარული მიზანი ჯგუფზე და დისკუსიის პროცესზე ზემოქმედების მოხდენაა. წამყვანმა/ფასილიტატორმა უნდა დაადასტუროს ასეთი ტიპის შეკითხვა, მაგრამ ამასთანავე, მან უნდა უთხრას მის ავტორს, რომ შეკითხვა განხილული იქნება, როგორც რიტორიკული.

- **ემოციური შეკითხვები** – ამ შეკითხვებში მნიშვნელოვანია ემოციური შინაარსი და არა ფაქტები. ისინი შეკითხვის ავტორის ან მთელი ჯგუფის ემოციებსა და გრძნობებზე იძლევიან სიგნალს. გამოხატავენ უკმაყოფილებას, აგრესიას ან თავის არიდებას. ფასილიტატორმა მხოლოდ ფაქტიურ შინაარს არ უნდა გასცეს პასუხი; მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ემოციურ მხარეზე, სადისკუსიო ჯგუფში არსებულ ატმოსფეროზე, მონაწილეების განწყობაზე. აუცილებლად უნდა მოახდინოს მონაწილეების სტიმულირება, რომ მათ გახსნილად, ღიად ისაუბრონ განწყობის, სურვილებისა თუ მოთხოვნილებების შესახებ. მათი წინადადებები ყურადღებით უნდა იქნას მიღებული და გათვალისწინებული.

პასუხებთან მუშაობა და პასუხების დამუშავება

დისკუსიისას პასუხზე რეაგირება უნდა გაკეთდეს ისე, რომ მოსაუბრე კმაყოფილი დარჩეს – მან უნდა იგრძნოს, რომ წვლილი შეიტანა დისკუსიაში. მაშინაც კი, როდესაც პასუხის შინაარსობრივი მხარე მიუღებელია, დისკუსიის მონაწილე უნდა გრძნობდეს, რომ მას გაუგეს. თუკი მონაწილეს ჩამოუყალიბდება სინანულის გრძნობა იმის გამო, რომ საკუთარი აზრი გამოთქვა, მას აღარ ექნება დისკუსიაში მონაწილეობის მიღების სურვილი. ამას კი, ხშირად, აგრესიულ ქცევასთან მივყავართ.

პასუხებთან მუშაობისას, ყოველთვის უნდა იქნას დაცული კომუნიკაციის წესები. წამყვანი თითოეული პასუხის გამეორებას, გაგებას და დადასტურებას უნდა ახდენდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შინაარსის განხილვასა და შეფასებაზე გადასვლა.

საკითხის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას დისკუსიისას შეკითხვების ეფექტურად გამოყენება და შეკითხვის პასუხებზე ადეკვატური რეაგირება უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს განუვითარდეს დისკურსული აზროვნება. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ დისკურსისას არამარტო საკითხის გარშემო შინაარსის და ფაქტების ორგანიზება ხდება არამედ ადგილი აქვს საკითხის ანალიზურ-სინთეზური გზით ღრმა გააზრებას.

7. პროექტები

პროექტი, როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო. უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. როგორც ცნობილია პროექტული მიდგომა საჭიროა მაშინ, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი; პროექტი, როგორც მრავალფუნქციური მეთოდი საშუალებას აძლევს პროექტის ავტორს დეტალურად გაწეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო.

პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებისაგან მოითხოვს: შემოქმედებით მიდგომას, ხელს უწყობს დაგროვილი ცოდნის გააქტიურებას; ემყარება ბავშვების მიერ სხვადასხვა სასკოლო საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და უყალიბებს მათ·

- პრობლემის ანალიზის;
- მიზნების ჩამოყალიბების;
- მიზნის შესაბამისი ამოცანების დასახვის;,
- ამოცანების გადაჭრის;
- ამოცანების გადასაჭრელად შესაბამისი ქმედებების და რესურსების შერჩევის;
- ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების;
- ურთიერთთანამშრომლობის;
- სამუშაოს დროში განაწილების;
- შეფასების უნარ-ჩვევებს.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია);

მასწავლებელი-მოსწავლეები დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი, თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.

2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.
3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

პროექტის თემის შესარჩევად, მასწავლებელმა ეროვნული სასწავლო გეგმიდან უნდა გამოყოს პრობლემური საკითხი, რომლზეც იწერება პროექტი.

გთავაზობთ პროექტის შედგენის სქემას

ა) პრობლემის ანალიზი - გულისხმობს სიტუაციის ანალიზს;

ბ) პრობლემის განსაზღვრა — იმ პრობლემის ხაზგასმას გულისხმობს, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი;

გ) მიზანი — ეს არის მოკლედ ჩამოყალიბებული ის, თუ რისი მიღწევა გსურთ;

დ) ამოცანები - გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად

ე) განხორციელების გზები — ეს არის კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯები დასმული ამოცანების შესასრულებლად. ეს გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1) როგორ?

2) ვინ?

ვ) სამუშაო გეგმა - ეს არის პროექტი გაწერილი დროში;

ზ) ბიუჯეტი-/რესურსები/ — ეს არის იმ რესურსების ჩამონათვალი, რომელთა დახმარებითაც უნდა განხორციელდეს პროექტი;

თ) შედეგები ყოველი ამოცანის გდაჭრის შემდეგ მიიღება კონკრეტული შედეგები. ის უნდა დავყოთ;

1) რაოდენობრივი;

2) თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვით;

ი) შეფასება- პროექტი უნდა შეფასდეს იმ კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ იქნება მასწავლებლის მიერ განსაზღვრული.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია სასკოლო, საგანმანათლებლო პროექტები, რომლებისაც პედაგოგი ან პედაგოგთა გოუნდი წერს.

ხშირად მასწავლებელს ან მასწავლებელთა ჯგუფს უწევს შეადგინოს საგანმანათლებლო პროექტი. ის შეიძლება იყოს სასკოლო პროექტი ან განაცხადი, რომლითაც მასწავლებელი მონაწილეობას იღებს საგრანტო ან სხვა ტიპის კონკურსში. გთავაზობთ გზამკვლევს, რომელიც შეიცავს თეორიულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ინფორმაცია პროექტის ავტორის შესახებ

საპროექტო განაცხადის ფორმა

პროექტის სათაური :

საგანი/საგნების დასახელება

განმცხადებლის სტატუსი· 1 2. 3.

1 სერტიფიცირებული 2 სქემაში ჩართული 3 მასწავლებელი

განმცხადებელი, პროექტის ავტორი

მასწავლებლის/ების სახელი და გვარი

სკოლის დასახელება:

სკოლის მისამართი

ინდექსი / ქალაქი/ ქუჩა

პროექტის ავტორის ტელეფონი:

მობილური სკოლის ტელ ელ-ფოსტა: სახლის ტელ

პროექტის დაწყების თარიღი: პროექტის დასრულების თარიღი:

პროექტის აღწერა

ა) პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. პრობლემის ხაზგასმისას მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ, კვლევებს, გამოკითხვას, არსებული მონაცემების ანალიზსს.

მაგალითად

PIRLS-ი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი.

მოზარდის, როგორც მოქალაქის, ჩამოყალიბების პროცესში 9-10 წელი მნიშვნელოვანი ასაკია. ამ დროს კითხვის უნარი, რომელიც ერთ-ერთი საბაზო უნარია, უკვე ჩამოყალიბებულია. ამ ასაკში ბავშვის კითხვის უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად წარმატებით შეძლებს მოსწავლე მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას.

რას და როგორ კითხულობენ 9-10 წლის ბავშვები საქართველოში? რა ფაქტორები უწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში კითხვის უნარის განვითარებას და რამდენად ვუსწრებთ თუ ჩამოვრჩებით ამ კუთხით კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებს?

საქართველომ პირველად ამ კვლევაში მონაწილეობა 2006 წელს მიიღო. ქართველმა მოსწავლეებმა საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენეს.

ჩვენი კათედრის წევრების ერთიანი მონდომებით ეს საერთო პრობლემა შევისწავლეთ მეოთხე კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების შესწავლით — განვიხილეთ მათი შეფასებები, პედაგოგთა დახასიათებები და შევჯერდით, რომ აღნიშნული პრობლემა ჩვენს სკოლაშიც აქტუალურია. ანუ მოსწავლეთა 50% კითხულობს გააზრებულად, 40% კითხულობს გაბმით მაგრამ პრობლემები აქვთ გააზრებაში, 10% უჭირს დეკოდირება. (განხილული სიტუაცია სიმბოლურია)

ამასთან დაკავშირებით კათედრაზე დღემდე არ შემუშავებულა ერთიანი სტრატეგია ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ბ) მიზანი

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

მაგალითად

დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლ მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებაზე და პირველი სემესტრის ბოლო კვირას ჩატარდეს წიგნიერების კვირეული - „ჩვენ მკითხველები“

გ) ამოცანები

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მაგალითად

1) დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლ მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებაზე. წიგნიერების დაუფლების ჩარჩოს მიხედვით: 1. მთლიანი კლ. სწავლება, 2. დიფერენცირებული სწავლება, 3. დამოუკიდებელი ვარჯიში.
2) შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე (ფონოლოგია, ანბანური პრინციპი, ლექსიკური მარაგი, გამართული კითხვა, გაგება-გააზრება) კომპონენტისთვის. 1-4 კლ ტექსტის სირთულიდან გამომდინარე.
3) ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები
   1. „წავიკითხე-დავხატე“ 2. „წავიკითხე - გიამბობთ“ 3. წავიკითხე-გავითამაშებ“ 4. „წავიკითხე- ვკითხულობ“.
4) ჩატარდეს კვირეული.

დ) განხორციელების გზები

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც პასუხობს შემდეგ კითხვებს:

1) „როგორ?“ - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?
2) „ვინ“ - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

მაგალითად

1) ამოცანა — დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლ მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებაზე.

როგორ?	ვინ?

2) ამოცანა — შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე კომპონენტის გამოყენებით 1-4 კლ ტექსტის სირთულიდან გამომდინარე.

როგორ?	ვინ?

3) ამოცანა — ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები 1. „წავიკითხე-დავხატე“ 2. „წავიკითხე-გიამბობთ“ 3. წავიკითხე-გავითამაშებ“ 4.„წავიკითხე-ვკითხულობ“

როგორ?	ვინ?

4) ამოცანა — ჩატარდეს კვირეული

როგორ?	ვინ?

პროექტის შესრულების განრიგი

ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განანილებული თვეების (დღეების, კვირების, კვარტლების) მიხედვით თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითად

ეტაპი	საქმიანობა	თვე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I	დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგია 1-4 კლ მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებაზე.												
II	შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე კომპონენტის გამოყენებით 1-4 კლ ტექსტის სირთულიდან გამომდინარე												
III	ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები 1.„წავიკითხე დავხატე“ 2.„წავიკითხე მოვყევი“ 3.წავიკითხე ვითამაშე“ 4.„წავიკითხე წავიკითხე“												
IV	ჩატარდეს კვირეული												

დროის ტაბულა ძალზე მოხერხებულია ვადების საჩვენებლად. მაშინ როდესაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რამ არის დაგეგმილი, მასზე ეს შეიძლება თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოისახოს.

რესურსები/ბიუჯეტი

როდესაც პროექტი ხორციელდება სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით პროექტის ამ ნაწილში უნდა მოხდეს რესურსების ჩამოთვლა.

თუ მასწავლებლის, სკოლის პროექტი საგრანტო კონკურსში მონაწილეობს ამ დროს პროექტის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე (იხ ცხრილი);
- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს არ შეიტანოთ ბიუჯეტში ის პუნქტები, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი, ან შეუსაბამოა თქვენი პროექტისთვის.

ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში.
ბიუჯეტის სავარაუდო ვერსია

	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	სულ
1.1				
1.2				
	სულ			
2.1				
2.2				
	სულ			
3.1				
3.2				
	სულ			
	სულ			

აღჭურვილობის ჩამონათვალში კომპიუტერულ, აუდიო, ვიდეო თუ სხვა სახის ტექნიკაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს კონფიგურაცია, საფირმო დასახელება და მოდელის ნომერი.

- აღჭურვილობაზე თუ მომსახურებაზე მითითებული ფასები უნდა იყოს დასაბუთებული (პროექტის დანართში უნდა იყოს ინვოისები) და ბაზრის შესატყვისი.

* საბანკო მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის პუნქტების ჯამის 1%-ს.

მოსალოდნელი შედეგები

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას.

სასურველია შედეგები დაყოთ:

ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით;

ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით.

სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შესრულებაზე, მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე, სკოლაზე, სფეროზე, საზოგადოებაზე და ა შ.

მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში თქვენ უნდა შესთავაზოთ სკოლას, ფონდს, დონორს, კონკურსის ორგანიზატორს თუ როგორ აწარმოოს თქვენი პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეაფასოს მისი წარმატება.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას. კრიტერიუმები უმეტესად დასახული ამოცანების გადაჭრის ხარისხის გასაზომადაა მიმართული.

მას შემდეგ რაც პედაგოგი დაასრულებს პროექტის შედგენას, იწყება პროექტის დანერგვის პროცესი, რომელიც ძირითადად პროექტით განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს. პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის ავტორი და პროექტზე მომუშავე ჯგუფი სწავლობს პროექტის შედეგებს და წერს პროექტის ანგარიშს.

პროექტის ანგარიშის ფორმა

პროექტის დასახელება

პროექტის დაწყების თარიღი:		პროექტის დასრულების თარიღი	

განხორციელების მიმოხილვა
-
-

წარმოქმნილი სირთულეები და დაძლევის გზები
-
-

მიღწეული შედეგები
-

გადაჭრილი პრობლემა, შესრულებული ამოცანა, მირებული შედეგების მდგრადობა
-
-

8. კოგნიტური სქემები

სქემებით სასწავლო პროცესის დატვირთვა ეხმარება მოსწავლეებს დასაჰუშავებელი მასალაში მოწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში. სქემებით მუშაობისას მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, კონცეპტისა და დეტალების ურთიერთმიმართებების დადგენასა და ვიზუალურად დანაჰვაში უწყობს მათ ხელს. ამიტომაც ხშირად ამ სქემებს კოგნიტურ დიაგრამებს უწოდებენ.

კოგნიტური სქემების გამოყენების არეალი:



რაში ეხმარება კოგნიტური სქემები მოსწავლეებს?

- ინფორმაციის მწყობრად ორგანიზებაში;
- ინფორმაციის გაანალიზებაში;
- უვითარებს ვიზუალურ აღქმას;
- უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას.

გამოყენების წინაპირობა:

შესასწავლი საკითხი უნდა საჭიროებდეს ბლუმის რომელიმე საზროვნო დონეზე საკითხის გააზრებას.

რაში ეხმარება კოგნიტური სქემები მასწავლებლებს?

- კოგნიტური სქემების გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააქტიუროს წინარე ცოდნა;

- კოგნიტური სქემების გამოყენებით ხსნის ახალ მასალას;
- ზედმიწევნითი კონკრეტულობით აჯამებინებს მოსწავლეებს ათვისებულ მასალას;
- ეხმარება პედაგოგს მოსწავლეს შეუქმნას ისეთი სასწავლო გარემო, როდესაც ის აანალიზებს მოვლენას;
- ეხმარება პედაგოგს მოსწავლის პროგრესის, მისი აკადემიური მოსწრების აღნუსხვაში და შეფასებაში.

გთავაზობთ, ინფორმაციას რამდენიმე კოგნიტური სქემაზე; რა მიზნით შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა და ეს კონკრეტული სქემა, რაში ეხმარება მოსწავლეს?

კოგნიტური სქემის დასახელება ამბის/ შინაარსის ორგანიზების სქემა.	**რა მიზნით იყენებს მასწავლებელი?** ზედმიწევნითი კონკრეტულობით აჯამებინებს მოსწავლეებს ათვისებულ მასალას	**რაში ეხმარება მოსწავლეს?** გაიხსენოს: ისტ პიროვნებები, მოქმედების ადგილი. დაინახოს პრობლემის დინამიკა და შედეგი.
მოვლენა და შედეგები	კოგნიტური სქემების გამოყენებით ხსნის ახალ მასალას	ინფორმაციის გაანალიზებაში
მიზეზ-შედეგობრიობის რუკა	ეხმარება პედაგოგს მოსწავლეს შეუქმნას ისეთი სასწავლო გარემო, როდესაც ის აანალიზებს ამა თუ იმ მოვლენას	მოვლენის/პრობლემის გაანალიზებაში(გაანალიზონ ამა-თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზები და მოვლენის შედეგები).

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე ხშირად ეფექტურია ინფორმაციის ორგანიზება დიაგრამებით. მათი დახმარებით ინფორმაცია ხდება თვალსაჩინო. ამა თუ იმ ფორმის დიაგრამის შექმნის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ·

- ინფორმაციის შეკრებისა და დახარისხების უნარ-ჩვევა;
- რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების ორგანიზაციის და წარმოდგენის უნარ-ჩვევა;
- რაოდენობრივი მონაცემების დალაგების უნარ-ჩვევა;
- თვისობრივი მონაცემების შედარების უნარ-ჩვევა;
- მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევა.

ვენის დიაგრამა

ამ დიაგრამის დამკვიდრება ცნობილი ინგლისელი მათემატიკოსის ჯონ ვენის (1834-1923) სახელს უკავშირდება. ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან. დიაგრამა შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა და ეფექტურია სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების სწავლებისას.

შევსების წესი

ა-ვარიანტი: I და II ნაწილში ფაქტის, ან მოვლენის, ან პერსონაჟის განსხვავებული ნიშნები იწერება, ხოლო III ნაწილში - მსგავსი.

ბ-ვარიანტი: ცალ-ცალკე ივსება I და II ნაწილი, ხოლო ის, რაც ორივეში აღმოჩნდება ერთნაირი გადადის III-ში.



დროის დიაგრამა

ეს სქემა მასწავლებელმა შესაძლებელია წარმატებულად გამოიყენოს ფაქტების და მოვლენების დროსთან დასაკავშირებლად. დიაგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაამუშაონ ისტორიული ფაქტების, მოვლენების შემცველი დიდი ტექსტები და საკითხები წყვილებში, ჯგუფებში, ინდივიდუალერად და მათზე დაყრდნობით შეადგინონ დროის დიაგრამა.

შევსების წესი

ა-ვარიანტი: ჯერ ივსები დიაგრამის I ხაწილი, რომელშიც აღინიშნება დრო (წელთაღრიცხვა, საუკუნე, წელი, თვე, რიცხვი, დღე). შემდეგ II ნაწილში თითოეული დროითი აღნიშვნის გვერდით შესაბამისი მოვლენა, ფაქტი.

ბ-ვარიანტი: ერთდროულად და თანამიმდევრობით ივსება დიაგრამის ორივე ნაწილი

კარტოგრაფიის განვითარება

წლები	შექმნილი რუკების ტიპები

ბ-ვარიანტი: ერთდროულად და თანამიმდევრობით ივსება დიაგრამის ორივე ნაწილი

კარტოგრაფიის განვითარება

წლები	შექმნილი რუკების ტიპები
ჩვენს წელთაღრიცხვამდე	ქვაზე შექმნილი
	პორტულანო
	და ა.შ.

დიაგრამა T

ეს სქემა მასწავლებელმა შეიძლება მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად.

T სქემა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსა— ხილველ საკითხებს /ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებს და ა.შ./ შორის.

სავარჯიშო კარგია ინფორმაციის დასახარისხებლად (ვთქვათ, დადებითად და უარყოფითად) და დასაჯგუფებლად.

შევსების წესი

დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე იხაზება I დიაგრამა. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე შეიძლება შეივსოს ჯერ სქემის მარცხენა მხარე, შემდეგ — მარჯვენა. მარცხენა მხარის შევსების შემდეგ, მარჯვენა მხარეში იწერება მისი საპირისპირო მოსაზრებები

სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, მასწავლებლის შეხედულებისამებრ:

ძვლის დიაგრამა

ძვლის დიაგრამა მრავალფუნქციური კოგნიტური სქემაა, მისი გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ შესასწავლ საკითხში კარგად გარკვევას. კერძოდ - არსებული სიტუაციის დაფიქსირებას, სასურველი სიტუაციის აღწერას, მასალაში მოცემული ფაქტორების დახარისხებას ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ კატეგორიებად და მასზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრას.

მისი გამოყენება ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას:

- ანალიზის;
- სინთეზის;
- შეფასების;
- კომუნიკაციის უნარის;
- ვიზუალიზაციის უნარის;
- კრიტიკული აზროვნების უნარის;
- პრობლემის გადაჭრის უნარის.

დიაგრამის გამოყენების ეტაპები:

პირველი ეტაპი - მოსამზადებელი

ამ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შესასწავლ საკითხს, თემას თუ მასალას, რომელიც პრობლემის მოგვარების აუცილებლობის შემცველია. მაგალითად საკითხს „რაში მდგომარეობს მკვდარი ზღვის პრობლემა?“

მეორე ეტაპი - სქემის შევსება

მასწავლებელი დაფაზე, ფორმატის ფურცელზე ხაზავს დიაგრამას და შესწავლილი ტექსტის გამოყენებით თანმიმდევრულად ავსებს სქემას

+(ხელის შემწყობი)

სად ვართ?
რა ხდება?-
არსებული
სიტუაცია

სასურველი
სურათი

-(ხელის შემშლელი)

მეორე ეტაპი - სქემის გამოყენება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს აღნიშნულ სქემაზე დაყრდნობით მოძებნონ პრობლემის გადაჭრის/მოგვარების გზა. ანუ რა გზით შეიძლება გადაიჭრას მკვდარი ზღვის პრობლემა.

მოსწავლეები სქემის გამოყენებით შესაძლოა პასუხობდნენ:

ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ნაწილს კალაპოტი შეუცვალეს და შიგ აღარ ჩაედინებიან. ამასთანავე მისგან მდინარეების გასავლელები ჩაკეტეს ამის გამო დამლაშდა. თუ ამ ფაქტორებს პირვანდელ მდგომარეობას დავუბრუნებთ. ზღვის დამლაშება შეწყდება.

მთავარი შეკითხვა





შედარება

მსგავსებები

განსხვავებები.

თანამედროვეობასთან შედარება

ნანარმოებში აღწერილი რეალობა	თანამედროვეობა/პირადი გამოცდილება

მსგავსებები:

განსხვავებები:

საორგახიზაციო სქემა: წრეწირი

საორგანიზაციო სქემა. გადაჯაჭვული ცნებები

პრობლემა და მისი გადაჭრის სქემა

პრობლემა

მიზეზები

გადაჭრის გზები:

მოვლენათა თანმიმდევრობა



ვიღაცას	ჯოყოლას
უნდოდა	ძმის მკვლელის სისხლის აღება
მაგრამ	ვერ იცნო დროულად და
ამიტომ	სტუმრად მოსული ველარ გამიმეტა სასიკვდილოდ

ვიღაცას	
უნდოდა	
მაგრამ	
ამიტომ	

სიტყვების რუკა

განმარტება

_____ აიხონიმი

_____

_____

_____ სიტყვა, ან ტერმინი

ანტომინი

ილუსტრაცია

სიტყვების რუკა



9. მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში

წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს შემდეგი უნარ-ჩვევების გამომუშავებას:

- მოსმენის;
- თანამშრომლობის;
- ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების;
- ფაქტებისა და აზრების დიფერენცირების;
- გაგების;
- საკუთარი აზრის გამოთქმის;
- ლოგიკური დასკვნების გაკეთების;
- გადაწყვეტილების მიღების;
- დროის რაციონალური გამოყენების;
- ფუნქციების დანაწილების;
- კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების.

გამოყენების წინაპირობა:
შესასწავლი მასალა თუ საკითხი უნდა იძლეოდეს კოლაბორაციის საშუალებას.

ზოგიერთ ლიტერატურაში წყვილებში მუშაობის ფორმა გვხვდება სახელწოდებით. **ვფიქრობთ-ვწყვილდებით-ვუზიარებთ.** მისი ჩატარების ეტაპებია.

I ეტაპი (ვფიქრობთ) – ეს ეტაპი ინდივიდუალურად ხორციელდება თითოეული მოსწავლის მიერ და გულისხმობს საკითხის, სიტუაციის, იდეის ზოგად მოსაზრებას. სასურველია, რომ მოსწავლეებმა მოკლე წინადადებების სახით რვეულში/ფურცელზე ჩაინიშნონ თავიანთი მოსაზრებები.

II ეტაპი (ვწყვილდებით) – ამ ეტაპზე მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, დაწყვილებული მოსწავლეები ერთმანეთს ყურადღებით აცნობენ I ეტაპზე შესრულებულ სამუშაოს შემდეგ მსჯელობის საფუძველზე საერთო მოსაზრებას აყალიბებენ.

III ეტაპი (ვუზიარებთ) — II ეტაპზე ჩამოყალიბებულ საერთო აზრს ყოველი წყვილი უზიარებს თანაკლასელებს, რაც საერთო დისკუსიაში გადაიზრდება. ეს ეტაპი სრულდება გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამებით დაკლასისმიერსაერთოდასკვნამდემისვლით.ამყველაფერსმასწავლებელი უწევს კოორდინაციას დროში განაწილებისა და დისციპლინის დაცვის თვალსაზრისითაც.

წყვილებში გამომუშავებული თანამშრომლობის ჩვევა კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას.

გთავაზობთ ჯგუფური მუშაობის წესებს:

1. კლასი იყოფა 4-5-კაციან ჯგუფებად;
2. კლასს ეძლევა საერთო დავალება;
3. დავალება სრულდება ჯგუფებში;
4. ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, არ უნდა მოხდეს კონფლიქტი, არ უნდა ითრგუნებოდეს არც ერთი მოსწავლე.
5. ჯგუფის ყოველი წევრი უნდა ჩაერთოს საქმიანობაში.
6. სამუშაოს შესასრულებლად ჯგუფს ეძლევა წინასწარ განსაზღვრული დრო.
7. შესრულებული სამუშაოს გადატანა ხდება საერთო ფურცელზე, რომლის პრეზენტაციას ახდენს ჯგუფის რომელიმე წევრი.
8. ჯგუფი მუშაობს ერთი მაგიდის გარშემო და თუ წევრები შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, ის ჯგუფი მეშაობას წყვეტს.

I ეტაპი – ჯგუფის დაკომპლექტება.

ჯგუფისშერჩევასხვადასხვაგვარადხდება ჯგუფიშეიძლებაშეირჩესისე, რომ თითოეულ მათგანში თანაბარი ან განსხვავებული შესაძლებლობების ბავშვები გაერთიანდნენ, შესაძლებელია შემთხვევითობის პრინციპით შერჩევაც, რათა მოსწავლეები მიეჩვიონ უცხო გარემოში ნებისმიერ პარტნიორთან ურთიერთობას. ჯგუფებად დანაწილება უნდა მოხდეს ოპერატიულად.

II ეტაპი – დავალების მიცემა

მასწავლებელი სასწავლო მიზნიდან და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ჯგუფებს აძლევს/ათამაშებს მსგავს ან განსხვავებულ დავალებებს. აძლევს ინსტრუქციას და უსაზღვრავს დროს.

III ეტაპი – წესების შეხსენება.

ასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს იმ წესებს, რომელიც მათ ერთად შეიმუშავეს.

IV ეტაპი – დავალების შესრულება.

ჯგუფები ასრულებენ დავალებას მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად. (ზოგჯერ დავალება მოითხოვს, რომ გაინაწილონ კონკრეტული როლებ/პოზიციები და მხდეს უფლებების დელეგირება)/მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფი მისგან მოითხოვს რაიმე განმარტებას, ან შეატყობს, რომ ჯგეფმა არასწორად გაიგო პირობა.

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი უკანა პლანზე გადადის. იგი გეზის მიმცემისა და მეთვალყურის როლს ასრულებს და ბოლომდე ნეიტრალურ წამყვანად რჩება.

V ეტაპი – პრეზენტაცია.

ჯგუფი აჯამებს შესრულებულ დავალებას და ირჩევს წევრს, რომელიც კლასს წარუდგენს ნამუშევარს. პრეზენტაციის დროს მასწავლებელი კითხვებს არ უსვამს და არ აწყვეტინებს აზრს მომხსენებელს.

VI ეტაპი — დისკუსია.

პრეზენტაციის შემდეგ პრეზენტატორი პასუხობს კლასის მიერ დასმულ შეკითხვებზე.

ნამუშევრები ფასდება მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმის საშუალებით. შესაძლებელია, მოსწავლეებმა თავად მოახდნონ ნამუშევრების შეფასება.

10. შეკითხვათა სახეები

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის კითხვების დასმა, რაც მოსწავლეებს უვითარებს:

- საკომუნიაციო;
- ლოგიკური აზროვნების;
- კვლევითი აზროვნების;
- მოსმენის და პასუხის გაცემის უნარ-ჩვევას.

შეკითხვა შეიძლება იყოს ღია და დახურული.

დახურული კითხვა მოითხოვს მხოლოდ „დიახ" ან „არა" პასუხს. ამგვარი კითხვა თავის თავში უკვე შეიცავს პასუხს, რომელსაც ან უნდა დაეთანხმო, ან არა. დახურული კითხვა ძირითადად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებლად, ანუ ორიენტირებულია ფაქტობრივ ცოდნაზე.

ღია შეკითხვა არ მოითხოვს ერთ კონცენტრულ პასუხს ის ორიენტირებულია სწავლა/სწავლებაზე.

გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს.

	დახურული ცოდნის შემოწმება	ღია სწავლა/აწავლება
1	რადენი შტატია აშშ-ში?	ჩამოთვალეთ აშშ-ს შტატები
2	რას უდრის ნებისმიერი სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი?	მოცემულია მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა და მახვილკუთხა სამკუთხედები, კუთხეებზე მითითებულია გრადუსები. გამოთვალეთ შიდა კუთხეების ჯამი, რომელ სამკუთხედში უფრო მეტია? გააკეთეთ დასკვნა.
3	როგორი ფოთოლი აქვს კაკალს და ვაშლს?	შეადარე ვაშლის ფოთოლი და კაკლის ფოთოლი, გააკეთე დასკვნა რომელია მარტივი და რომელი რთული?

ღია შეკითხვები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

1. **ჰიპოთეზური:** „რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ ..?"

   ასეთი შეკითხვები მოსწავლეებს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში და მიმართავს მათ გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ.

2. **განსჯითი:** „როგორ შეგვიძლია ჩვენ ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?"

3. **წამახალისებელი** – მხარდამჭერი: „საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?" ეს შეკითხვა მოსწავლეს ეხმარება, შესძლოს თავისი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების გაზიარება.

4. **მასტიმულირებელი:** „რა აზრის ხარ...?" ამით მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

5. **კვლევითი:** „რატომ ფიქრობ ასე?" ეს შეკითხვა დასმული უნდა იყოს არა აგრესიული ან გამომცდელი ტონით, არამედ უნდა გამოხატავდეს მასწავლებლის ინტერესს; ხელს უწყობდეს ბავშვს, დაუფიქრდეს საკითხს, უვითარებდეს მას ანალიზის, მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

6. **შემაჯამებელი:** „თუ სწორად გავიგე, შენ ფიქრობ, რომ..." ეს შეკითხვა გულისხმობს ბავშვების მოსაზრებების შეჯამებას და იმის შემოწმებას, სწორად გაიგო თუ არა მთი ნააზრევი მასწავლებელმა. ამ დროს სხვა მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება, გაანალიზონ მათი მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას.

7. **შემათანხმებელი:** „ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?" ამ შეკითხვამ შესაძლოა კამათის პროვოცირება გამოიწვიოს, ან პირიქით – დაასრულოს კამათი. პირველ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, მოახდინოს განსხვავებული აზრის დაფიქსირება და საკითხი დატოვოს ღიად. მეორე შემთხვევაში კი, შეკითხვით — „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?" - იგი ამთავრებს ერთ თემას და გადადის შემდეგზე.

11. კუბის მეთოდი

კუბის მეთოდი არის საშუალება, რომელიც თემას სხვადასხვა კუთხიდან აშუქებს.

მეთოდი ხელს უწყობს:

- საკუთარი აზრის გამოთქმის;
- კომუნიკაციის;
- ინფორმაციის დახარისხების;
- ანალიზის, მსჯელობის, შედარება-შეპირისპირებისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას.

ჩატარების წესი

მაასწავლებელი წინასწარ ამზადებს კუბის ფორმის პატარა ყუთს ან ხ.ზავს კუბის შლილს დაფაზე, რომლის თითოეულ გვერდზე წერია ოპერაციები: აღწერე, შეადარე, გააანალიზე, გამოიყენე, დაიცავი, საწინააღმდეგო გამოთქვი.

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელს შემოაქვს თემა, შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და დაწერონ მითითებულ დროში მოცემული თემის, საგანის, მოვლენის, ლიტერატურული პერსონაჟის და ა.შ. შესახებ კუბის წახნაგებზე (გვერდებზე) მოცემული ოპერაციების მიხედვით:

I გვერდი - აღწერეთ. (ანუ როგორია) საგანი, მოვლენა, პერსონაჟი, (რას ფიქრობთ ფერის, ფორმის ჩათვლით, პერსონაჟის პორტრეტი, დახასიათება და სხვა)

II გვერდი - შეადარეთ: რას, ვის ჰგავს საგანი, მოვლენა, პერსონაჟი. დაუკავშირეთ, რას გაგონებთ, რას, ვის გახსენებთ? (შესაძლოა მოსწავლეებმა დაუკავშირონ როგორც ნაცნობ, ისევე უცნობ საგნებს, მოვლენებს, ადგილებს, ადამიანებს)

III გვერდი - გააანალიზეთ: როგორ, რისგანაა გაკეთებული ეს საგანი, რამ გამოიწვია ეს მოვლენა, რა ნიშნით გაგახსენდათ ესა თუ ის პერსონაჟი.

IV გვერდი - გამოიყენეთ: როგორ გამოიყენებთ?

V დაიცავით (ან დაუკავშირეთ). მოიყვანეთ საჭირო არგუმენტები.

VI გვერდი - საწინააღმდეგო გამოთქვით, გამოიყენეთ არგუმენტები დასაჯავად.

კუბის გამოყენების ეტაპები

პირველი ეტაპი: მასწავლებელი მოსწავლეებს უთითებს დროს და აძლევს დავალებას წყვილებში გაინაწილონ კუბის მხარეები (თითოეულმა სამი) და ინდივიდუალურად დაწერონ ფურცლებზე თავიანთი ნააზრევი .

მეორე ეტაპი: მასწავლებელი სთხოვს მეწყვილეებს, წაუკითხონ ერთმანეთს თავიანთი ნამუშევრები და დაუსვან კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ მათი გამოხმაურება არ შემოიფარგლოს ზოგადი შეფასებით და ზუსტად განსაზღვრონ რა მოეწონათ და რა - არა და რატომ.

მესამე ეტაპი: მოსწავლეები თავიანთ ნაწერებს სურვილის მიხედვით ააცნობენ მთელ კლასს. მასწავლებელი ცდილობს დაიცვას კუბის მხარეების თანმიმდევრობა – ბლუმის საფეხურების მიხედვით დაბალი სააზროვნო უნარებიდან მაღალი სააზროვნო უნარებისაკენ.

12. აქტიური ლექცია

აქტიური ლექციის გამოყენება მიზანშეწონილია მცირე დროის განმავლობაში ვრცელი მასალის მისაწოდებლად.

ლექცია ძირითადად გამოიყენება ახალი თემის გასაცნობად, ძირითადი ინფორმაციის გადასაცემად და მოტივაციისთვის. ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეს, რომ ისწავლოს მოსმენა და აძლევს მასწავლებელს საშუალებას განახორციელოს ცვლილებები სწავლების მომენტში, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მოსწავლეს მასალის უკეთ გაგებაში.

აქტიური ლექცია ხელს უწყობს:

- მოსმენის;
- ინფორმაციის აღქმის;
- ინფორმაციის დახარისხების;
- ცოდნის გამოყენების;
- ანალიზის;
- დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევებს.

ჩატარების წესი:

I ეტაპზე - მასწავლებელი სასწავლო მიზნიდან გამომდინარე ასახელებს ლექციის თემას, და აღნიშნავს, რომ ლექცია შედგება ორი ნაწილისაგან. ის ლექციის I ნაწილის დაწყებამდე სვამს თემიდან გამომდინარე კითხვას.

II ეტაპზე — მასწავლებელი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აფიქსირებს დაფაზე და სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ ყურადღებით და მზად იყვნენ აზრის გამოსათქმელად. მასწავლებლი კითხულობს ლექციას.

III ეტაპზე— მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ, თუ რა გაიგეს ახალი.

IV ეტაპი — მასწავლებელი მეორე ნაწილადან სვამს ახალ კითხვას და ინიშნავს პასუხებს. აგრძელებს ლექციას.

V ეტაპი — მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეადარონ მათი ნააზრევი მოსმენილს და აძლევს საკვანძო საკითხს, რომელზეც მოსწავლეები წერენ ესეს. ზოგიერთი ესე შეიძლება წაკითხული იქნეს კლასში.

აქტიური ლექცია გამოიყენება მთელ კლასთან სამუშაოდ.

13. ასოციაციური კავშირების რუკა

ეს არის საშუალება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ვიზუალურად დაინახოს, აღიქვას სიტყვები, ცნებები, საკითხები შესასწავლ თემასთან დაკავშირებით.

ის ეხმარება მოსწავლეს შემდეგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში:

- ყურადღების კონცენტრაციის;
- ინფორმაციის შეკრების და დაჯგუფების;
- თემის გააზრების;
- დასკვნი გაკეთების;
- ასოციაციების შექმნის;
- შემოქმედებითი აზროვნების;
- ლოგიკური აზროვნების.

ასოციაციური კავშირების რუკის შედგენის ეტაპები:

I. დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე იწერება სიტყვა, ფრაზა, ან გამოსახულება;

II. მოსწავლეები დაფის ან ფურცლის ცენტრში დაწერილ სიტყვას, ფრაზას, ან გამოსახულებასთან ლოგიკურად აკავშირებენ იმას რაც აზრად მოუვათ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით;

III. მას შემდეგ, რაც სიტყვებს ამ ფრაზებას დაწერენ უნდა აღინიშნოს კავშირი ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს შორის, რომელიც მათი აზრით ერთმანეთთანაა დაკავშირებული;

IV. ასოციაციური კავშირების რუკის შედგენა გრძელდება მანამ, სანამ ამ საკითხის გარშემო აზრები ან დრო არ ამოიწურება.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობისას.

სქემას სავარაუდოდ შეიძლება ასეთი სახე ჰქონდეს.



14. ჯაჭვური თხრობა

ჯაჭვური თხრობა წარმოადგენს განვითარებად, ლოგიკურ, თხრობით ჯაჭვს, რომელიც აგებულია გარკვეული თანამიმდევრობით. ჯაჭვური თხრობა შედგება რამდენიმე ეპიზოდისაგან. ეპიზოდები ერთმანეთს უკავშირდება საყრდენი კითხვების/თემების საშუალებით. კითხვებს ადგენს მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების მოთხოვნების მიხედვით

ეს არის საშუალება, რომელიც ხელს უწყობს:

- ცოდნის გამოყენების;
- პირადი გამოცდილების გამოყენების;
- შემოქმედებითი აზროვნების;
- წარმოსახვითი აზროვნების;
- საკუთარი აზრის გამოთქმის;
- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის;
- ლოგიკური თხრობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამ მეთოდის გამოყენების წესი ასეთია:

I ეტაპი

მასწავლებელი სასწავლი მიზნიდან გამომდინარე მოსწავლეების ცოდნის, გამოცდილების, იდეების, ინტერესების გათვალისწინებით არჩევს საწყის თემას.

II ეტაპი

მასწავლებელი საწყის თემაზე ადგენს საყრდენ კითხვებს, ეს არის ერთგვარი სიუჟეტური გეგმა, რომელიც ბავშვებმა უნდა გააცოცხლონ.

III ეტაპი

შერჩეული თემის შესაბამისად, საყრდენი კითხვების გამოყენებით ჯაჭვური თხრობა მიმდინარეობს. ჯაჭვური თხრობის საფუძველს წარმოადგენს აქტიური მეთოდიკა, ხშირად ამა თუ იმ ისტორიას ახლავს ნახატიც; ასეთ დროს ბავშვებს ეძლევათ საშუალება თავიანთი გრძნობები გამოხატონ ვიზუალურად. ხშირად ამა თუ იმ ისტორიას თვითონ აგრძელებს მოსწავლე.

გთავაზობთ მაგალითა უცხო ენის სტანდარტის მიხედვით

თემა: მეგობრის დაბადების დღე

საყრდენი კითხვები:

1 მიიღეთ მოსაწვევი?

2 შეურჩიეთ ააჩუქარი?

3. როგორ?

4 დაწერეთ მისალოცი ბარათი?

5 როგორ?

6 ნახა შეხი საჩუქარი მეგობარმა?

7 როგორ გაეცრთე?

8 როდის დაბრუნდით შინ?

15. შეკითხვების დაფა

მასწავლებელი ამა თუ იმ თემის დაწყებისას კედელზე აკრავს ფორმატს წარწერით – შეკითხვების დაფა. მასზე არის ორი განყოფილება, პირველში მოსწავლეები წერენ: შეკითხვებს, იმ საკითხებს, რომელიც მათთვის ბუნდოვანია, არ იციან; ხოლო მეორეში საკითხების გასწვრივ ის მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ სახელს, რომლებიც მზად არიან უპასუხონ ამ საკითხებს. ეს არის გზა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს ინტერაქტივის გზით სრულყოს კლასის ცოდნა.

მისი გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- ცოდნის გამოყენების,
- ცოდნის სხვისთვის გაზიარების,
- საკუთარი აზრის გამოთქმის, ანალიზური აზროვნების,
- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის,
- ლოგიკური თხრობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამ მეთოდის გამოყენების წესი ასეთია:

I ეტაპი თემის დასაწყისში ფორმატს ამზადებს მასწავლებელი და აკრავს კედელზე —

თემა:	
შეკითხვები	ვინ არის მზად უპასუხოს?

II ეტაპი მოსწავლეები ავსებენ ჯერ პირველ გრაფას ანუ მოსწავლეები წერენ: შეკითხვებს, იმ საკითხებს, რომელიც მათთვის ბუნდოვანია, არ იციან. შემდეგ ივსება მეორე გრაფა ანუ საკითხების გასწვრივ ის მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ სახელს, რომლებიც მზად არიან უპასუხონ ამ საკითხებს.

III ეტაპი მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ისაუბრონ იმ საკითხებზე, რომლებზეც მზაობა განაცხადეს

16. ცნების რუკა

„ცნების რუკა" ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციისა და ცნებების ორგანიზებაში. ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს კლასებსა და კატეგორიებზე, ნიშან–თვისებებსა და მახასიათებლებზე, ნიმუშებსა და მაგალითებზე ფიქრი.

მეთოდის გამოყენება მეტად ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და მნიშვნელოვანი ცნებების ათვისებისათვის. „ცნების რუკაზე" მუშაობა მოითხოვს პასუხების ძიებას ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა:

- რა არის ..... ? რას ჰგავს იგი? რა მაგალითების მოყვანა შეიძლება მასთან დაკავშირებით?
- რა არის .....ის მიზეზი? რა არის ..... ის შედეგი?

მოსწავლემ წინასწარ უნდა წაიკითხოს ტექსტი, რათა მონიშნოს საკვანძო სიტყვები და წინადადებები.

ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს:

- კონცეპტუალური ცოდნის შეძენას;
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- ანალიზზე და სინთეზზე ორიენტირებულ აზროვნებას;
- სოციალურ უნარების განვითარებას;
- საკომუნიკაციო უნარების განვითარებას

არსებობს „ცნების რუკის„ რამდენიმე ვარიანტი. ქვემოთ მოცემულია ცნების რუკის გამოყენების მაგალითი თემაზე „გრიპი".

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. წარუდგინეთ კლასს წასაკითხი ტექსტი.
2. კითხვის დაწყებამდე ჰკითხეთ მოსწავლეებს, სმენიათ თუ არა რაიმე დაავადების შესახებ.
3. ტექსტის პირველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ დახაზეთ დაფაზე ოვალი და ჩაწერეთ გრიპი. სწორედ ამ ცნების გარშემო ააგებენ მოსწავლეები ცნების რუკას.
4 დახაზეთ მეორე ოვალი და ჩაწერეთ „მიზეზები" დააკავშირეთ ორი ოვალი (მაგალითად, ცენტრალური ოვალიდან მიმართული ისრით). შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ტექსტის პირველი მონაკვეთი აღწერს დაავადების გამომწვევ მიზეზებს.
5. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავადაც დახაზონ ასეთივე რუკა რვეულებში/ ფურცლებზე და წყვილებში იმსჯელონ გრიპის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შემდგომ კი ჩამოწერონ ეს მიზეზები მეორე ოვალში (ან გვერდით მიაწერონ მეორე ოვალს).

6. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. საუბრის პროცესში ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მეორე ოვალთან.
7. სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ მომდევნო მონაკვეთი.
8. დახაზეთ მესამე ოვალი და ჩაწერეთ „სიმპტომები". დააკავშირეთ ცენტრალური ოვალი მესამე ოვალთან. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მეორე მონაკვეთში გრიპის სიმპტომებია აღწერილი.
9. სთხოვეთ მოსწავლეებს წყვილებში გაიხსენონ ინფორმაცია ტექსტიდან და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მესამე ოვალი („სიმპტომები").
10. კვლავ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მესამე ოვალში (ან მის გვერდით).
11. დახაზეთ მეოთხე, შედარებით მცირე ზომის ოვალი და გახაზეთ ისარი ცენტრალური ოვალიდან ამ მეოთხე ოვალამდე. სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ იქნება მესამე მონაკვეთი. მსჯელობის დასრულების შემდეგ ჩაწერეთ ოვალში „მკურნალობა". სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ გრიპის მკურნალობისა და პრევენციის შესაძლო გზებზე.
12. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტის ბოლო მონაკვეთი და ყურადღება გაამახვილონ მსჯელობის დროს გამოთქმულ იდეებზე.
13. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში შეადარონ საკუთარი ნამუშევრები და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მეოთხე ოვალი
14. სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული აზრები მთელ კლასს.
15. ჩამოწერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მეოთხე ოვალთან.

ცნების რუკის ნიმუში



17. ესე

ესე (ფრანგ. ესსეი; ინგლ. essay, ცდა, ნარკვევი; ლათ. ეხიგო, ვწონი. არასწორი ფორმები: „ესსე", „ესეი") — ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრი; არსებობს სხვადასხვა ხასიათის ესე: ბელეტრისტული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო და სხვ. ჟანრული თავისებურებაა კომპოზიციური თავისუფლება: მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა, სუბიექტივიზმი, საუბრის ფორმა, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის თხრობა.

ეს არის სტრატეგია, რომელიც ავითარებს:

- კომუნიკაციურ უნარებს;
- შემოქმედებით აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ლიტერატურულ წიგნიერებას;
- არგუმენტირებულ აზროვნებას;
- სოციალურ უნარებს

ფორმის თვალსაზრისით, გვხვდება ორი სახის ესე:

1. ახსნითი (განმარტებითი), ინფორმაციული ესე;
2. არგუმენტირებული ესე.

1. ახსნითი ესე

ახსნითი ესეს ფუნქციაა ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის აღწერა, ზოგადი ანალიზი ან ახსნა. შესაბამისად, ამ ტიპის ესე არ გულისხმობს საკითხის სიღრმისეულ ანალიზს ან გარკვეული პრობლემების გადაჭრას. ახსნითი ესე აწვდის მკითხველს გარკვეულ ინფორმაციას, ეხმარება მას ამა თუ იმ საკითხზე ზოგადი ცოდნის მიღებაში.

2. არგუმენტირებული ესე

არგუმენტირებულ ესეში ავტორი წარმოაჩენს თავის სუბიექტურ მოსაზრებებს, გვთავაზობს საკუთარ პოზიციას და კონკრეტული არგუმენტებით ლოგიკურად ასაბუთებს თავის სათქმელს.

მსჯელობისერთ-ერთიყველაზემნიშვნელოვანინაწილიაარგუმენტაცია, ანუ პოზიციის დასაბუთება და ადეკვატური არგუმენტებით გამყარება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ესე რამდენიმე სახეობად იყოფა:

- ლიტერატურულ-პუბლიცისტური;
- კრიტიკული;

- ფილოსოფიური;
- ისტორიული;
- სამეცნიერო;
- ბიოგრაფიული;
- სოციოლოგიური და ა.შ.

ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

I. შესავალი
II. ძირითადი ნაწილი
III. დასკვნითი ნაწილი

ესეს შექმნა სამი ეტაპისაგან შედგება

პირველი ეტაპი

პირველ ეტაპზე იწერება შესავალი. იმისათვის რომ ესეს შესავალი ეფექტური და საინტერესო გამოვიდეს, სასურველია მოსწავლეებს სთხოვოთ რამდენიმე მარტივი წესის დაცვა.

- ტექსტის შესავალ ნაწილში მკაფიოდ გამოკვეთოს მიზანი, ანუ თავიდანვე გააცანოს მკითხველს განსახილველი საკითხი.
- დასვას ისეთი შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძება ისაუბროს ესეში;
- შესავალი დაიწყოს მკითხველისთვის ნაცნობი, ადვილად აღსაქმელი სიტუაციის (ფაქტი; ამბავი; ინფორმაცია) აღწერით, რათა დააინტერესოთ მკითხველი.

მეორე ეტაპი

მეორე ეტაპზე მოსწავლე ქმნის ესეს ძირითად ნაწილს; აქ მთავარის ძირითად ნაწილში გადმოსცენ მთავარი სათქმელი, განმარტონ და დაასაბუთონ გამოთქმული დებულებები და მოსაზრებები.

მსჯელობა ააგონ ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წარმოაჩინონ პირადი დამოკიდებულება და პოზიცია განსახილველი საკითხისადმი.

მესამე ეტაპი

დასკვნით ნაწილში შეაჯამონ ესეში გადმოცემული მოსაზრებები, მკითხველს კიდევ ერთხელ დააკონკრეტონ მთავარი სათქმელი და დაასაბუთონ შერჩეული თემის აქტუალურობა.

18. ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი

„ინტერვიუ" ითარგმნება როგორც „საუბარი" მართლაც, ინტერვიუ არ არის მხოლოდ ჟურნალისტიკის საინფორმაციო ჟანრი, არც მხოლოდ ერთი ადამიანის მეორესთან საუბრის გადმოცემის სალიტერატურო ხერხი, რაც მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ინტერვიუ, ამავდროულად, ადამიანების ურთიერთობის გზით მონაცემების, ინფორმაციის მოპოვებაცაა.

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებს შორის ადამიანი არის მთავარი, ყველაზე ფასეული, ე.წ. „ცოცხალი წყარო", რომელიც ფაქტობრივად უშრეტია. პირველ რიგში ადამიანი არის თვითმხილველი და მონაწილე მიმდინარე მოვლენების, იგი ასევე არის საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მატარებელი და ამავდროულად სხვისგან მიღებული ინფორმაციის გადმომცემი.

არაერთ ახალ სახელმძღვანელოში შეხვდებით დავალებებს, რომლებიც ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას ითხოვს. მასწავლებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს სხვადასხვა დისციპლინებში გამოყენებულ მეთოდებს. ამ მეთოდებს შორისაა ინტერვიუ.

ეს არის მეთოდი, რომელიც ავითარებს:

- კომუნიკაციის უნარებს;
- სოციალურ უნარებს;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- შემოქმედებით აზროვნებას;
- ტრანსფერულ უნარებს.

ინტერვიუს სახეები

1. ინტერვიუ თვითმხილველთან

თუკი რაიმე საგნისათვის მნიშვნელოვანი, საინტერესო რამ მოხდა და მას ჰყავს თვითმხილველები, ამ შემთხვევაში მიმართავენ ინტერვიუს ამ ფორმას. ბუნებისმეტყველებაში ეს შეიძლება იყოს მაგ.: ბუნებრივი კატასტროფის თვითმხოლველი. ლიტერატურაში ეს შეიძლება იყოს რომელიმე მწერლის ნიგნის პრეზენტაცი ამ დროს შეკითხვები შესაძლოა დაიწყოს შემდეგი კითხვითი სიტყვებით - რა? სად? როდის? როგორ?. თუკი თვითმხილველის პასუხებიდან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვინდა შევქმნათ გარკვეული სურათი, სასურველია სხვა თვითმხილველებიც მოვიძიოთ და მათაც დავუსვათ ანალოგიური კითხვები.

2. აზრის გამოკითხვა რაიმეს შესახებ

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ საინტერესო ხდება მოსახლეობის აზრის შესწავლა, ამ შემთხვევაში კითხვა იწყება „რატომ" კითხვითი სიტყვით და ვცდილობთ სრულად ვიგოთ გამოკითხულის აზრი რაიმე ობიექტის თუ მოვლენის შესახებ.

3. ინტერვიუ - პორტრეტი

თუკი რომელიმე გამოჩენილ, ან გამორჩეულ ადამიანზე გინდათ წარმოდგენა ინტერვიუთი შეიქმნათ, საჭიროა წინასწარ მოიპოვოთ ინფორმაცია რესპონდენტზე, რომ შეხვედრამდე შეიქმნათ შთაბეჭდილება ობიექტზე, შეძლოთ კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება ასეთი მოსამზადებელი სამუშაო საბოლოო ჯამში მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის

სასწავლო პროცესში ინტერვიუს ჩართვას თავისი ეტაპები გააჩნია:

1. მოსამზადებელი სამუშაო;
2. კითხვების ჩამოყალიბება;
3. ინტერვიუ;
4. მასალის დამუშავება და ანალიზი;
5. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება;
6. პრეზენტაცია;
7. შეფასება.

1. მოსამზადებელი სამუშაო

ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ინტერვიუს სწორად დაგეგმვაში. რაც უფრო ზედმიწევნით დაიგეგმება სამუშაო, მით უფრო ნაკლები წინაღობები იქნება უშუალოდ მუშაობის პროცესში.

მოსწავლეებს ევალებათ შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება:

- წინასწარ მოიძიონ მათ მიერ არჩეულ თემაზე (საკითხზე) არსებული მასალა და შეისწავლონ იგი;
- წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია იმ ჯგუფზე, რომელსაც მიეკუთვნებიან არჩეული რესპონდენტები;
- საჭიროა დადგინდეს თუ რამდენად კომპეტენტურია მოსაუბრე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- სასურველია, მოუსმინონ მსგავსი ტიპის ერთ ან ორ ინტერვიუს;
- წინასწარ დაიგეგმოს ინტერვიუს აღების დრო და ადგილი.

იმისათვის რომ ინტერვიუსთან დაკავშირებული სრული ციკლი წარმატებით დასრულდეს მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად წინასწარ უნდა იფიქროს

- გამოიყენებთ თუ არა დიქტაფონს, თუ რა ფორმით მოხდება ინტერვიუს ჩაწერა;
- დაჭირდება თუ არა მეწყვილე ინტერვიუს ჩატარებისას;
- რა ინფორმაციის ცოდნაა საჭირო თითოეული რესპონდენტის შესახებ. მაგ.: რესპონდენტის დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია, განათლება, საცხოვრებელი ადგილი კონკრეტულ პერიოდში და ა.შ.;
- კითხვების ფორმულირებაზე: ა) კითხვა რესპონდენტს არ უნდა უბიძგებდეს გარკვეული პასუხისაკენ ბ) კითხვები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- როგორ დაიწყოს და დაასრულოს ინტერვიუ.

2. კითხვების ჩამოყალიბება

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს ავალებს, მოიფიქროს ინტერვიუს ორი ან სამი კითხვა. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს, რომლის დროსაც უნდა შეჯერდეს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული საკვლევი კითხვები ტავდაპირველად ყველა კითხვა აღინუსხება დაფაზე, ხოლო შემდეგ ხდება ამ კითხვების მიზანშეწონილობის გარკვევა, ხომ არ შეიძლება მათი უკეთ ფორმულირება, ხო მარ იმეორებს კითხვები ერთმანეთს. ამ მიზნის მისაღწევად, მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის საკვლევი კითხვა და თუ რომელ მათგანს ანიჭებენ პრიორიტეტს. თითოეული არჩეული საკვლევი კითხვა საფუძვლად უნდა დაედოს ინტერვიუს კითხვარს.

- კითხვების შერჩევა (მათ შორის, ძირითადი, ალტერნატიული, დაუგეგმავ გარემოებაზე გათვლილი) უნდა იყოს მიმართული რესპონდენტის ცოდნის, აზრის თუ ფაქტების გაგებისკენ.
- ინტერვიუს კითხვათა თანმიმდევრობაზე მიმართული მარტივიდან რთულისკენ. უმეტეს შემთხვევაში ინტერვიუს დაწყება უმჯობესია ისეთი მსუბუქი კითხვებით, რომლებიც რესპონდენტს დაძაბულობას მოუხსნის.
- ბოლო კითხვა ყველაზე რთულია, ან მთავარი.
- სასურველია კითხვების ორი ვერსიის მომზადება, სრული და შემოკლებული, რომელთა გამოყენება/არ გამოყენების საკითხს სიტუაციიდან გამომდინარე ადგილზე გადაწყვეტთ.

- მოსწავლეს უნდა ახსოვდეს რომ არ არის უხერხული თუკი რაიმე ტერმინი ან ცნება არის მისთვის უცნობი და მან თავისუფლად უნდა დასვას დამაზუსტებელი კითხვები.

აკრძალვების ნუსხა

ის თუ რამდენად კარგადაა მომზადებული კითხვები ინტერვიუს მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა.

თუკი კითხვაში პასუხი იკითხება — ასეთი კითხვა ინტერვიუსთვის უვარგისია.

3. ინტერვიუ

- თუ ინტერვიუს ჩაწერა ელექტრონული გზით ვერ ხერხდება, მაშინ, აუცილებელია მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ: ერთი სვამს კითხვებს, ხოლო მეორე აკეთებს ჩანიშვნებს (ინტერვიუს დასრულებიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ჩანიშვნების საფუძველზე რესპონდენტის პასუხების წერილობით ჩამოყალიბება);
- ინტერვიუს ადგილზე დროულად მისვლა;
- რესპონდენტის წინასწარ გაფრთხილება თუ რამდენ დროს მოითხოვს ეს ინტერვიუ;
- რესპონდენტთან ზრდილობიანად ქცევა;
- აუცილებელია, რომ თავდაპირველად დამყარდეს პოზიტიური კონტაქტი იმ პირთან, ვისგანაც ინტერვიუ უნდა იყოს აღებული. ასევე თავდაპირველი კითხვები უნდა იყოს მსუბუქი ხასიათის, რომ მოსაუბრეს გაუქრეს დაძაბულობის გრძნობა;
- რესპონდენტის საუბრის ყურადღებით მოსმენა;
- ინტერვიუს მსვლელობისას საჭიროა მოთმინების გამომჟღავნება. რესპონდენტს არ უნდა შევეკამათოთ ან შევუსწოროთ;
- რესპონდენტებს უნდა დააცადოთ გამოთქვას თავისი აზრი სრულად;
- თუკი პასუხი ვერ მიიღეთ, ერთი ორი კითხვის შემდეგ ისევ შეიძლება კითხვის გამეორება, მცირედად შეცვლილი ფორმით;
- თუკირაიმეგაურკვეველია,ჯობიაადგილზედამაზუსტებელიკითხვის დასმა, ვიდრე შემდეგ ფაქტების არასწორად ინტერპრეტირება;
- თუ მოსწავლე თვლის, რომ ინტერვიუს მსვლელობა მოითხოვს ისეთი კითხვის დასმას, რომელიც მას არ ჰქონდა დაგეგმილი, უმჯობესია, მან ეს კითხვა დასვას;

- ასევე კარგია თუ ამის შემდეგ დასვამთ კითხვას „რამე მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ხომ არ დამავიწყდა?"
- ინტერვიუს დასრულების შემდეგ, აუცილებლად გადავუხადოთ რესპონდენტს მადლობა და ასევე შევუთანხმდეთ საჭიროების შემთხვევაში დეტალების დაზუსტების საჭიროება თუ იქნება, რომ მას დაუკავშირდებით.

4. აღებული მასალის დამუშავება და ანალიზი

ინტერვიუს დამუშავებისა და ანალიზის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- რამდენად კარგი იყო რესპონდენტის მეხსიერება? შეიძლება თუ არა მიღებული პასუხები სანდოდ მივიჩნიოთ?
- რესპონდენტის მიერ გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვებს?
- საჭიროა თუ არა, გადამოწმდეს რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?
- იყო თუ არა რესპონდენტი აშკარად ტენდენციური, თავის რომელიმე პასუხში?
- რამდენად ღირებულია კონკრეტული ინტერვიუ?

5. ინტერვიუს შედეგის ნაშრომის სახით ჩამოყალიბება

მოსწავლეებმა ნაშრომში უნდა წარმოაჩინონ, თუ რა არის მათი მთავარი მიგნება. ნაშრომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა.

1. **შესავალი** - არჩეული თემის მოკლე მიმოხილვა (რატომ არის თემა მნიშვნელოვანი? რატომ დაინტერესდნენ ისინი ამ თემით?);
2. **ძირითადი ნაწილი** - როგორ და რატომ მივიდნენ მოსწავლეები ამ მიგნებებამდე; საჭიროა დაერთოს კითხვარის რაოდენობრივი ანალიზი;
3. სასურველია მომზადდეს **თვალსაჩინოებები**;
4. **დასკვნა** - თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება;

6. პრეზენტაცია

პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რა აუდიტორიისთვის მზადდება იგი. მას უნდა დაერთოს მომზადებული თვალსაჩინოებები, ინტერვიუდან საინტერესო პასაჟები, მთავარი მიგნებები.

7. შეფასება

საბოლოო შედეგების შეფასება ხდება ნინასწარ მომზადებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელშიც ასახულია, როგორც მოსწავლის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ასევე კვლევის შედეგად შექმნილი ნაშრომი და ნაშრომის წარმოდგენის ფორმატი (პრეზენტაცია, ესსე, ქეისი და ა შ)

19. პრეზენტაცია

პრეზენტაცია არის ჯგუფის წინაშე გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წარდგენა.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორებიცაა:

- კომუნიკაცია,
- საკუთარი პოზიციისა თუ მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა,
- არგუმენტირება,
- პოზიციის დაცვა
- და ა.შ.

პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია, რომ პრეზენტაციის თემების რაოდენობა ძალიან ბევრი არ იყოს; რეკომენდებულია მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი თავისებურება. ასევე, თუ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, წინასწარ უნდა მისცეს მათ პრეზენტაციის ტიპური სქემა.

პრეზენტაცია სამი ნაწილისაგან შედგება:

1. **შესავალი:** შესავალი პრეზენტაციის აუცილებელი ნაწილია. ამ ნაწილის მიზანია აუდიტორიის ყურადღების მიქცევა, პირველადი კონტაქტის დამყარება. ეს ნაწილი შედარებით მცირეა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.
2. **ძირითადი ნაწილი:** ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. ძირითად ნაწილში ხდება დებულებების, მოსაზრებებისა და ა.შ განხილვა, საილუსტრაციო მასალების გამოყენება. პრეზენტაციის გაკეთებისას გასათვალისწინებელია საუბრის ტონი, ქცევის მანერა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ეს ნაწილი პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 70%-ს შეადგენს
3. **დასკვნა:** დასკვნით ნაწილში ხდება პრეზენტაციის შეჯამება, თუ რას ემსახურებოდა იგი, რა არის მიღებული შედეგები და ა.შ. ეს ნაწილი პრეზენტაციის დროის დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს შეფასების სკალა და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად შეაფასოს პრეზენტაცია; თუმცა, ეს უფრო მეტად სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი პრეზენტაციისათვის არის რეკომენდებული.

ხშირად პრეზენტაციის გაკეთება სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს - პროექტორი, ლეპტოპი, დაფა ან „ფლიპჩარტი„. სასურველია, თუკი პრეზენტაცია PP ფორმატში გაკეთდება.

20. ქეისებით სწავლება

ქეისებით სწავლების ძირითადი ფუნქციაა ასწავლოს მოსწავლეებს ისეთი რთული არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ამოხსნა შეუძლებელია ანალიზური ხერხით. მეთოდის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენება — რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება, ჯგუფის ერთიან პრობლემაზე მუშაობის საშუალება, ამასთან სწავლების პროცესი რეალური ცხოვრების იმიტაციას ემსგავსება, და არა მარტო ტერმინების ცოდნასა და გაგებას საჭიროებს, არამედ მათზე მოქმედებებს, საკუთარი აზრის დასაბუთებას.

ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- გუნდში მუშაობის უნარის გამომუშავებას;
- რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება;
- უმარტივესი განზოგადებების გაკეთების უნარის განვითარებას;
- პრეზენტაციის უნარის განვითარებას;
- პრეს-კონფერენციის ჩატარებას;
- კითხვის ფორმულირებასა და პასუხის არგუმენტირების უნარის განვითარებას.

ქეისების კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა — სირთულის მიხედვით კლასიფიკაცია. ამასთან განასხვავებენ:

საილუსტრაციო სასწავლო სიტუაციები	**სასწავლო სიტუაციები**	**სასწავლო სიტუაციები**	**წვრთნები**
ქეისები, რომელთა მიზანია ცალკეულ პრაქტიკულ მაგალითებზე გამოუმუშავოს მოსწავლეს კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი;	ქეისები პრობლემის ფორმირებაზე, რომლებშიც აღწერილია სიტუაცია დროის კონკრეტულ პერიოდში, გამოვლინდება და მკაფიოდ ფორმულირდება პრობლემები. ასეთი ქეისის მიზანია სიტუაციის დიაგნოსტირება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;	ქეისები პრობლემების ფორმირების გარეშე, რომელშიც წინა ვარიანტთან შედარებით უფრო რთული სიტუაცია განიხილება, სადაც პრობლემა მკაფიოდ კი არაა ჩამოყალიბებული, არამედ სტატისტიკური მონაცემების სახითაა მოცემული ასეთი ქეისის მიზანია პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრა, არსებული რესურსების ანალიზით მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება,	გამოყენებითი წვრთნები, რომელიც ასახავს კონკრეტულ არსებულ ვითარებას და თავაზობს გამოსავალის მოძებნას ქეისის მიზანი ამ შემთხვევაში არის პრობლემების გადასაჭრელად გზების ძიება.

ქეისების კლასიფიკაცია სწავლების **მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.**

ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახის ქეისები:

- ანალიზისა და შეფასების შესასწავლად;
- პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების შესასწავლად;
- პრობლემის, გადაწყვეტის ან მთლიანად კონცეფციის ამსახველი.

ქეისების კლასიფიკაცია **აგებულების მიხედვით**:

- **სტრუქტურირებული ქეისი**, რომელშიც მინიმალური ოდენობითაა დამატებითი ინფორმაცია, მასთან მუშაობისას მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კონკრეტული მოდელი ან ფორმულა, ამ ტიპის ქეისებს აქვთ ოპტიმალური გადაწყვეტა;
- **მცირე „მონახაზი"** რომელიც შეიცავს, როგორც წესი, ერთიდან ათამდე ფურცლიან ტექსტს და 1-2 დანართს. ისინი მხოლოდ ძირითად ცნებებს აცნობენ და მათი ანალიზისას მოსწავლე უნდა დაეყრდნოს უფრო საკუთარ ცოდნას;
- **დიდი არასტრუქტურირებული ქეისები** - 50 გვერდის მოცულობით - ყველაზე რთულია ამ სახის სასწავლო დავალებებს შორის, ინფორმაცია მათში მოცემულია ძალიან დეტალურად, მათ შორის სრულიად არასაჭირო, ყველაზე საჭირო მონაცემები კი პირიქით, შეიძლება არ იყოს. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს ასეთი შეფარული მზაკვრობები და თავი გაართვას მათ.
- **პიონერული ქეისები** - მათი ანალიზი მოსწავლეებისაგან მოითხოვს არა მარტო უკვე ათვისებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებას, არამედ ასევე რაიმე ახალის შეთავაზებას, ამასთან მოსწავლეები და მასწავლებლები მკვლევარების როლში გამოდიან.

ქეისის ზომა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის დანიშნულებასთან. რამდენიმე გვერდიანი მინი-ქეისი, დაახლოებით 1 საათიან პრაქტიკულს იკავებს. საშუალო ქეისი - 2 საათს, ხოლო დიდ მოცულობის ქეისი შესაძლოა რამდენიმე პრაქტიკულის განმავლობაში მუშავდებოდეს. არსებობს ქეისები დანართებითა და დანართების გარეშე.

ქეისების ამოხსნა რეკომენდებულია 5 ეტაპად:

- **პირველი ეტაპი** - სიტუაციის და მისი თავისებურებების გაცნობა;
- **მეორე ეტაპი** - ძირითადი პრობლემ(ებ)ისგამოყოფა, იმ ფაქტორებისა და პიროვნებების გამოყოფა, რომლებიც რეალურად შეიძლება ზემოქმედებდნენ;
- **მესამე ეტაპი** - კონცეფციების ან თემების შეთავაზება გონებრივი იერიშისათვის;
- **მეოთხე ეტაპი** - ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგების ანალიზი;

- **მეხუთე ეტაპი** - ქეისის ამოხსნა - ერთი ან რამდენიმე ვარიანტის (ქმედებათა თანმიმდევრობა, მითითება პრობლემათა შესაძლო წამოჭრაზე, მათი პრევენციისა და გადაწყვეტის მექანიზმები.

ქეის-სწავლება, როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგია.

ქეის-სწავლების მთავარ პრობლემას წარმოადგენს დისკუსიის მონაწილეთა შეფასება. ცოდნის შემოწმება და შეფასება უნდა წარიმართოს სწავლების დიდაქტიკური პრინციპების შესაბამისად. საჭიროა მოსწავლე შეფასდეს დისკუსიაში აქტიური მონაწილეობისათვის ან ზეპირი პრეზენტაციისათვის, რაც მოიცავს:

1. გამოსვლა, რომელიც აღწერს სერიოზული წინასწარი ანალიზის მცდელობას (სწორი ვარაუდები, კარგი მომზადება, არგუმენტირება და ა. შ.);
2. ყურადღების გამახვილება რიგ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ ღრმა განხილვას;
3. კატეგორიების აპარატის ფლობა; ცნებათა განმარტების, შინაარსის ნვდომის სწრაფვა;
4. ლოგიკური აზროვნების უნარის დემონსტრირება;
5. ისეთი ალტერნატივების შეთავაზება, რომლებიც ადრე უგულვებელყოფილ იქნა;
6. კონკრეტული სამოქმედო გეგმის ან გადაწყვეტის განხორციელების გეგმის შეთავაზება;
7. არსებითი ელემენტების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია ქეისის ანალიზისთვის;
8. რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობა;
9. განხილვის შედეგების შეჯამება.

ქეისის ანალიზის წერილობითი სახით წარდგენისას, შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- პრობლემათა ანალიზი;
- ჩატარებული რაოდენობრივი გათვლები;
- დამოუკიდებელი დასკვნები;
- ინფორმაციის დამუშავების ადექვატური მეთოდები;
- მოთხოვნის შესაბამისად შედგენილი დოკუმენტები;
- ანალიზის შედეგად გამოტანილი არგუმენტები.

21. მკითხველთა თეატრი

„მკითხველთა თეატრი“ ეფექტური მეთოდია გამართული კითხვის დასახვეწად, რადგანაც ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატდებიან საუბარში და მეტი ინტერესითა და პატივისცემით იმსჭვალებიან ლიტერატურისადმი. მეთოდი გამოიყენება მცირე ჯგუფებთან ან მთელ კლასთან სამუშაოდ.

მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა:

- კითხვის უნარი;
- წაკითხულის გაგების, გააზრების, ანალიზის უნარი;
- სოციალური უნარები;
- კომუნიკაციის უნარები.

ამ აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა მცირე ზომის პიესა ან ზღაპარი, რომელსაც წინასწარ მოამზადებთ. ტექსტი იმ ზომის უნდა იყოს, რომ 10-15 წუთში იკითხებოდეს. ის უმეტესწილად უნდა შედგებოდეს დიალოგებისგან, რათა შესაძლებელი იყოს როლების გადანაწილება რამდენიმე მკითხველზე. გადახედეთ ტექსტს, განსაზღვრეთ, რამდენი როლი გექნებათ და მონიშნეთ ის მონაკვეთები, რომლებსაც სხვადასხვა მკითხველს გაუნაწილებთ. დიალოგებს შორის მოზრდილი ტექსტები შესაძლოა დაყოთ და გადაანაწილოთ რამდენიმე მთხრობელზე.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

„მკითხველთა თეატრის“ ჩასატარებლად შეასრულეთ ქვემოთ აღწერილი ნაბიჯები

1. კლასში ტექსტის წასაკითხად გამოყავით მოხალისეები.
2. თითოეულ მოსწავლეს მიეცით ტექსტის ასლი და ხმამაღლა წაუკითხეთ, რომ გამართულად წაკითხული ვარიანტი მოისმინონ;
3. ამის შემდეგ წააკითხეთ ტექსტი „გუნდური კითხვის„ მეთოდით (ჯერ თქვენ ნაიკითხეთ და შემდეგ მოსწავლეებს წააკითხეთ იგივე);
4 ახლა გაუნაწილეთ ტექსტი მკითხველებს. თუ ტექსტის ნაწილების რაოდენობა საკმარისი არ არის, სთხოვეთ მოსწავლეებს გაცვალონ ერთმანეთში მკითხველისა და მსმენელის როლები;
5. როდესაც ბავშვები წარადგენენ თავიანთ სამუშაოს, დააყენეთ შემაღლებულ სცენაზე, ან დასვით სკამებზე, პირით აუდიტორიისაკენ (მაყურებლისაკენ). მოსწავლეები თავიანთი როლების შესაბამისად უნდა იყენებდნენ ჟესტებს, მიმიკასა და ინტონაციას. ისინი უნდა რეაგირებდნენ თეატრის სხვა გმირების ქმედებებზე სხეულის ენით (ჟესტებითა და მოძრაობით);
6. გაამეორებინეთ სცენები რამდენჯერმე, რათა მათ თხრობას დრამატულობა შეემატოს, ხოლო კითხვას - გამართულობა.

22. წაკითხვა და შეკითხვების დასმა

„წაკითხვა და შეკითხვების დასმა" არის მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კითხვის დასმისა და ფორმულირების უნარის განვითარებას. დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების მოსაძებნად კი მათ უწევთ მასალის რამდენჯერმე გადახედვა და გონებაში გამთლიანება. შეძენილი ცოდნა და უნარები ბავშვებს მოგვიანებით, ტესტირებისა და გამოცდისთვის მზადების დროსაც მნიშვნელოვნად გამოადგებათ მეთოდი გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასთან სამუშაოდ.

ამ აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა ტექსტი (მაგალითად, სახელმძღვანელოდან აღებული, უკვე განვლილი მასალის რომელიმე თავი ან მცირე ზომის მოთხრობა), რომელსაც ექნება სათაური და ქვესათაურები, რამდენიმე აბზაცი მაინც.

მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა:

- კითხვის უნარი;
- წაკითხულის გაგების, გააზრების, ანალიზის, სინთეზის უნარი;
- სოციალური უნარები;
- კომუნიკაციის უნარები;
- კოგნიტური უნარები.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

დაურიგეთ ბავშვებს სამოქმედო ინსტრუქციის დაბეჭდილი ასლები, ან აჩვენეთ პროექტორით და საშუალება მიეცით, დაწვრილებით გაეცნონ მას.

1. წაიკითხეთ ტექსტი ნაწილ-ნაწილ. წაიკითხეთ ქვესათაურიდან მომდევნო ქვესათაურამდე, ან აბზაციდან აბზაცამდე. თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მიაწერეთ საკვანძო სიტყვები მინდორზე.
2. მინდორზე მიწერილი საკვანძო სიტყვები მინიშნებებად გამოიყენეთ და ჩამოაყალიბეთ ისეთი კითხვები, რომლებიც გავლილი მასალის გამეორებას ემსახურება და რომელთა მსგავსიც, თქვენი აზრით, შესაძლოა შეგხვდეთ გამოცდაზე/ტესტირებაზე. შეკითხვები ფურცელზე ჩამოწერეთ.
3. ახლა იფიქრეთ თითოეული კითხვის პასუხზე და დაწერეთ ფურცლის უკანა მხარეს.

მოსწავლეებს ამ დავალების შესასრულებლად მიეცით 20 წუთი. გარკვეული დროის შემდეგ ჩამოიარეთ კლასში, ჰკითხეთ ბავშვებს, რა სიტყვები/ტერმინები ამოწერეს, რა შეკითხვები დასვეს და რა პასუხები გასცეს, რაიმე სირთულეს ხომ არ გადააწყდნენ და ა.შ.

23. სადისკუსიო ქსელი

„სადისკუსიო ქსელის" გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები თუ დამოკიდებულებები საკითხის მიმართ ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვამდე ან წაკითხვის შემდეგ. პროცესში მონაწილეობა სასარგებლოა ახალი ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების, წერის პროცესისთვის მომზადების, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისათვის.

მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა:

- კითხვის უნარი;
- წერის უნარი;
- წაკითხულის, გააზრების, უნარი;
- სოციალური უნარები;
- კომუნიკაციის უნარები;
- კოგნიტური უნარი;
- კრიტიკული აზროვნება.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დაწერეთ დაფაზე ისეთი დებულება ან შეკითხვა, რომელიც კამათს გამოიწვევს.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ სამ-სამი მიზეზი, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ ან შევეწინააღმდეგოთ. აქვე შეახსენეთ, რომ შესაძლოა ჩამოთვლილი მიზეზები მათ პირად შეხედულებებს არ ემთხვეოდეს.
3. დაურიგეთ მოსწავლეებს სადისკუსიო ქსელის სქემის შესავსები ფურცლები და სთხოვეთ შეავსონ თავიანთი მოსაზრებებით.

სადისკუსიო ქსელის სქემა

ვეთანხმები (pro)	ვუპირისპირდები (con)

დასკვნა:

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს შეხედულებები, განუმარტონ მეწყვილეს საკუთარი მოსაზრებები და, სურვილის შემთხვევაში, ახალი მიზეზებიც დაამატონ საკუთარ სქემას.
5. გაზიარებისა და დისკუსიის დასრულების შემდეგ სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, რომ ხმამაღლა გამოთქვან თავიანთი შეხედულებები. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ მომენტისთვის „სწორი პასუხი„ არ არსებობს და რომ ყველა მოსაზრებას თანაბარი ძალა აქვს.
6. ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს სქემის იმ ადგილზე, სადაც წერია „დასკვნები". სთხოვეთ დაწერონ ინდივიდუალურად 5–წუთიანი ესეი, რომელშიც საკუთარ, პიროვნულ პოზიციასა და შეხედულებებს გამოხატავენ მოცემულ საკითხზე/პრობლემაზე. მიუთითეთ, რომ შეუძლიათ გამოიყენონ სადისკუსიო ქსელში მოცემული მიზეზები, რათა განამტკიცონ საკუთარი არგუმენტები.

24.ორსვეტიანი დღიური

„ორსვეტიანი დღიური“ გამოიყენება მოთხრობის ან ლექსის კითხვის პროცესში. დღიურში შეტანილი ჩანაწერებით მოსწავლე საკუთარ განწყობა–დამოკიდებულებებს გამოხატავს ამა თუ იმ საკითხის/მოვლენის/გმირის მიმართ. მეთოდის გამოყენების ერთ–ერთი მიზანია მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, რათა უკეთ დააკვირდეს დეტალებს და ღრმად გაიაზროს ნაწარმოების შინაარსი.

მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა:

- კითხვის უნარი;
- წერის უნარი;
- წაკითხულის, გააზრების, უნარი;
- სოციალური უნარები;
- კომუნიკაციის უნარები;
- ემოციის მართვის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაყონ ფურცელი ვერტიკალური ხაზით. გააკეთეთ იგივე დაფაზე.
2. უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა დაიწყებენ კითხვას ამა თუ იმ კონკრეტულ თემაზე (დაუსახელეთ თემა).
3. აუხსენით, რომ ორად გაყოფილი ფურცლის მარცხენა სვეტში მათ უნდა ამოწერონ ტექსტიდან წინადადება ან ფრაზა, რომელიც რაიმეს გვეუბნება საკითხის შესახებ. უჩვენეთ მოსწავლეებს კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ უნდა შეასრულონ ეს მოქმედება (ამოწერეთ ტექსტიდან წინადადება დაფაზე).

4 სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაფიქრდნენ ამ წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შესახებ, შემდეგ კი თავიანთი ნააზრევი ჩაწერონ მარჯვენა სვეტში, ტექსტიდან ამოწერილი წინადადების გასწვრივ. „ხმამაღლა ფიქრის„ გამოყენებით უჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ შეასრულონ ეს მოქმედება (დაწერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მარჯვენა სვეტში).

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ, სულ მცირე, 3 ჩანაწერი კითხვის პროცესში. წინასწარ უთხარით, რომ ამ დღიურებს შესწორების მიზნით კი არ შეაგროვებთ, არამედ მოსწავლეები მათ საკუთარი აზრების კლასში გაზიარებისათვის გამოიყენებენ.

6. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ პირველი რამდენიმე აბზაცი და ამოწერონ ფრაზა ან წინადადება, რომელსაც მარჯვენა მხარეს კომენტარს მიაწერენ. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ თავიანთი ჩანაწერები კლასს.

ორსვეტიანი დღიურის ნიმუში
ზღაპარი „ნაცარქექია“

წინადადება ტექსტიდან	**„ხმამაღლა ფიქრი“**
იყო და არა იყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.	ის რაც არის და რაც არ არის
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

7. სთხოვეთ, რომ დამოუკიდებლად გააგრძელონ მუშაობა ტექსტის დარჩენილ ნაწილზე.

25. კითხვები და პასუხები (QAR)

კიპა ანუ კითხვებისა და პასუხების ურთიერთმიმართება **(Question Answer Relationship)** არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ეცნობიან კითხვებსა და პასუხებს შორის არსებულ კავშირს ტექსტთან მიმართებით. იგი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (თხრობით და აღწერით) ტექსტებთან სამუშაოდ, პრაქტიკულად, ყველა საგნობრივ ჯგუფში. თავდაპირველად მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს და პასუხებს ტექსტში ეძებენ. შემდეგ კი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიაკვლიეს პასუხებისთვის საჭირო ინფორმაციას, ახდენენ შეკითხვების კატეგორიზაციას. მეთოდის მიხედვით, არსებობს კითხვა-პასუხის ოთხი კატეგორია: **„იქვე, ტექსტში", „იფიქრე და მოიძიე", „ავტორი და მე", „მე თვითონ".**

კიპას გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვის მიზნის განსაზღვრაში, წაკითხულის გაგების მონიტორინგში. გარდა ამისა, იგი შეარყევს მოსწავლეებში გავრცელებულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ტექსტი ყველაფერს ამბობს ანუ სრულად გადმოსცემს ინფორმაციას და უბიძგებს ბავშვებს კვლევა-ძიებისა და კრიტიკული აზროვნებისაკენ.

კიპა ეფექტურად გამოიყენება IV-X კლასებში, თუმცა გამარტივებული სახით შესაძლებელია მისი გამოყენება III კლასშიც, ხოლო უფრო გაღრმავებულად - XI-XII კლასებშიც.

მეთოდი შეიმუშავა რაფაელმა 1982 წელს.

მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა:

- კითხვის უნარი;
- წაკითხულის გაგების, გააზრების, ანალიზის, სინთეზის უნარი;
- სოციალური უნარები;
- კომუნიკაციის უნარები

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. შეარჩიეთ საკითხავი ტექსტი.

2. ჩამოაყალიბეთ ტექსტთან დაკავშირებული შეკითხვები.

მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული ოთხივე კატეგორიის თითო ან ორ-ორი შეკითხვის ჩამოყალიბება.

- **„იქვე, ტექსტში"** — ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში პირდაპირ არის მოცემული. როგორც წესი, პასუხის შემცველი წინადადება

კითხვითი წინადადების სიტყვებს იმეორებს. მოსწავლეს არ სჭირდება პასუხის სიღრმისეული გააზრება და დასკვნების გამოტანა.

- **„იფიქრე და მოიძიე“** — ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტშია, მაგრამ ერთ, ცალკეულ წინადადებაში არ გვხვდება. მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემული ინფორმაციის მოძიება და დაკავშირება მოუწევს.
- **„ავტორი და მე“** ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში პირდაპირ მოცემული არ არის და უფრო ნაგულისხმევია. აზრის გამოსატანად მოსწავლეს ავტორის მიერ მოცემული ინფორმაციის წინარე ცოდნასთან შეჯერება მოუწევს.
- **„მე თვითონ“** — ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში მოცემული არ არის. კარგი პასუხის ჩამოსაყალიბებლად ტექსტის წაკითხვა შეიძლება არც იყოს აუცილებელი. ამ კატეგორიის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია მოსწავლის წინარე გამოცდილება და დამოუკიდებლად ფიქრის უნარი.

3. გაეცანით შეკითხვებს მოსწავლეებთან ერთად ტექსტის წაკითხვამდე (ანუ გაკვეთილის I ფაზაზე). შეკითხვებზე წინასწარი დაფიქრება დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტთან მუშაობის კონკრეტული მიზნისა და მოლოდინების განსაზღვრაში.
4. წააკითხეთ ტექსტი მოსწავლეებს. შესაძლებელია გამოიყენოთ ტექსტის წაკითხვის სხვადასხვა მეთოდიია.
5. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჩაუტარეთ მოსწავლეებს მკაფიო ინსტრუქტაჟი კითხვა-პასუხის ოთხი კატეგორიის შესახებ. გააკარით წინასწარ მომზადებული, ფორმატზე გამოსახული კიპას სქემა დაფაზე და/ან დაურიგეთ სქემის ფურცლები ბავშვებს ინდივიდუალურად.

   მკაფიოდ განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ კონკრეტულ ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებსა და პასუხებს შორის დამოკიდებულება შეიძლება ორგვარი იყოს: ზოგჯერ პასუხები ტექსტშია, ზოგჯერ - არა. შემდეგ დაყავით თითოეული ვარიანტი ორ კატეგორიად (1. „ტექსტში“ – „იქვე“; „იფიქრე და მოიძიე“; 2. „ჩემს გონებაში“ – „ავტორი და მე“; „მე თვითონ“).

   ქვემოთ იხილეთ **კიპას** სქემის ორი ნიმუში.

6. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წერილობით უპასუხონ შეკითხვებს და მიუთითონ (მიაწერონ), რომელი კატეგორიის ინფორმაცია დასჭირდათ თითოეული მათგანისათვის. ამისათვის შესაძლებელია თითოეული კატეგორიისათვის მარტივი კოდების მოფიქრება და გამოყენება.

7. ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემისა და კატეგორიების მითითების შემდეგ ჩაატარეთ საკლასო დისკუსია.

   გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ პასუხის ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნება ადვილი არ არის და ზღვრული შემთხვევებიც არსებობს. ასეთ დროს მოსწავლეები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იმის თაობაზე, თუ რომელი კატეგორიის ინფორმაცია გამოადგათ ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხისათვის. ეს სავსებით მისაღები მოვლენაა და პროცესს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. მთავარია, რომ მოსწავლეებმა ეფექტური არგუმენტები მოიყვანონ თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად.

კითხვები და პასუხები

კიპა (QAR) სქემა 1



კითხვები და პასუხები

კიპა (QAR) სქემა 2



26. მოთხრობის (ამბის) რუკა

„მოთხრობის (ამბის) რუკა“ ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მოსწავლეებისთვის გააზრებული კითხვის პროცესში მეგზურობის გასაწევად. ეს მეთოდი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებელია გამოვიყენოთ გაკვეთილის სამივე ფაზაზე: წაკითხვამდე (ანუ I ფაზაზე), რათა მოსწავლეებმა შეძლონ წინასწარი ვარაუდების გამოთქმა ნაწარმოების პერსონაჟების, გარემოებების, სიუჟეტის შესახებ; უშუალოდ წაკითხვის დროს (გაკვეთილის II ფაზაზე) - მოსწავლეები კითხვის პროცესში აკეთებენ ამა თუ იმ ნაწარმოების მნიშვნელოვანი დეტალების სტრუქტურიზებულ ჩანაწერს; წაკითხვის შემდგომ (III ფაზაზე) მისი გამოყენება კი მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს წერის პროცესში, ხელს შეუწყობს „გონებრივი იერიშის“ შედეგად გამოთქმული მოსაზრებების კონსტრუირებაში.

მეთოდი ხელს უწყობს:

- კითხვის უნარის;
- წერის უნარის;
- ტექსტის გაგების;
- ტექსტის გააზრების;
- ანალიზის უნარს;
- სინთეზურ უნარს.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დახაზეთ მოთხრობის (ამბის) რუკა დაფაზე.

მოთხრობის (ამბის) რუკის ნიმუში

სათაური: _____

პერსონაჟები: გარემოებები:

_____ _____

_____ _____

_____ _____

პრობლემა: _____

_____

მოვლენა 1: _____

_____

მოვლენა 2: _____

_____

მოვლენა 3: _____

_____

შეჯამება: _____

_____

2. ხმამაღლა წაიკითხეთ მოთხრობის სათაური და სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ შეიძლება იყოს იგი. გამოთქმული ვარაუდები პერსონაჟების, გარემოებებისა და პრობლემის შესახებ ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში. მნიშვნელოვანია, რომ ჩაინიშნოთ ყველა განსხვავებული მოსაზრება.
3. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის პირველი ნაწილი.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ვარაუდებით შევსებულ მოთხრობის რუკას. ჰკითხეთ, ხომ არ სურთ შეცვალონ/შეავსონ თავიანთი მოსაზრებები. სთხოვეთ მათ, ხმამაღლა წაიკითხონ ტექსტიდან ის მონაკვეთები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვიტეს საკუთარი ვარაუდების შეცვლა. მსჯელობის შემდეგ შეიტანეთ დაფაზე დახაზულ რუკაში შესაბამისი ცვლილებები.
5. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის შემდეგი მონაკვეთი
6. დაუბრუნდით მოთხრობის რუკას, კვლავ განაგრძეთ არსებული ვარაუდების გადახედვა და რუკის ახალი ინფორმაციით შევსება.
7. გაიმეორეთ ეს პროცედურა მანამდე, ვიდრე მოთხრობა არ დასრულდება.
8. როდესაც მოსწავლეები კითხვას მთლიანად დაასრულებენ, სთხოვეთ მსურველებს ხმამაღლა შეაჯამონ ნაწარმოები რუკაში თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

27. მოთხრობის (ამბის) პირამიდა

„მოთხრობის (ამბის) პირამიდა" კარგი საშუალებაა მოთხრობის დაწერის მოსამზადებელ პერიოდში იდეების გენერირებისათვის. ის შეიძლება ჩატარდეს ჯგუფებში, როგორც კითხვის თანმხლები აქტივობა, ან განხორციელდეს ინდივიდუალურადაც. შედეგად კი მივიღებთ მოთხრობის გეგმას, რომელსაც წერის პროცესში მოსწავლეები ქარგად გამოიყენებენ.

ეს მეთოდი ხელს უწყობს:

- კითხვის უნარის;
- წერის უნარის;
- კოგნიტურ უნარს;
- სოციალურ უნარს;
- კომუნიკაციას.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დახაზეთ მოთხრობის (ამბის) პირამიდა დაფაზე (ან გააკარით ფორმატზე წინასწარ მომზადებული ნახაზი) და დაწერეთ მოთხრობის საცდელი სათაური. სასურველია, რომ მოთხრობის თემა დაკავშირებული უნდა იყოს კლასში ახლახან წაკითხულ ტექსტთან, ეს საშუალებას მოგცემთ მეტად სიღრმისეულად დააბრუნოთ მოსწავლეები უკვე განხილულ საკითხებთან და მისცეთ ინტერპრეტაციის საშუალება.
2. განუმარტეთ ბავშვებს, რომ მოთხრობის (ამბის) პირამიდა მნიშვნელოვნად დაეხმარებათ თხზვის პროცესის დაწყებაში.
3. პირამიდის თითოეული საფეხურისთვის დაფაზე ჩამოწერეთ შემდეგი მითითებები:
    1. მთავარი გმირის სახელი;
    2. ორი სიტყვა, რომლებიც ახასიათებს მთავარ პერსონაჟს;
    3. სამი სიტყვა, რომლებიც აღწერს გარემოებას;
    4. ოთხი სიტყვა, რომლებითაც აღიწერება პრობლემა/მიზანი (ნაწარმოების მთავარი იდეა) (სასურველია, თუ ეს დაკავშირებული იქნება ახლახან განხილული ნაწარმოების თემატიკასთან/გმირთან);
    5. ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს პირველ მოვლენას;
    6. ექვსი სიტყვა, რომლებიც აღწერს მეორე მოვლენას;
    7. შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს მესამე მოვლენას;
    8 რვა სიტყვა, რომლებიც გამოხატავს პრობლემის შეჯამებას.

მოთხრობის (ამბის) პირამიდის ნიმუში.



სთხოვეთ მოსწავლეებს ჯგუფებში/ინდივიდუალურად შეავსონ გრაფები თქვენ მიერ ჩამონერილი მითითებების შესაბამისად

მოსწავლეთა მუშაობის პროცესში, მასწავლებელმა, უმჯობესია, იაროს კლასში და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რჩევები მისცეს ბავშვებს.

პირამიდის შევსების დასრულების შემდეგ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიაროს კლასს ნამუშევარი და სთხოვეთ განგიმარტოთ, რატომ მიიპყრო მათი ყურადღება ამა თუ იმ კონკრეტულმა პრობლემამ.

თუკი მოსწავლეებმა პირამიდა ჯგუფურად შეავსეს, მიშვნელოვანია, რომ ყველა ჯგუფს მიეცეს ნამუშევრის წარმოდგენის საშუალება.

შენიშვნა:

„მოთხრობის (ამბის) რუკა“ და „მოთხრობის (ამბის) პირამიდა“ მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს არაერთი მიზნით: განუვითაროს მოსწავლეებს გმირის გამოკვეთის, პერსონაჟთა ამა თუ იმ ნიშნით დაჯგუფების უნარი, მოაძებნინოს პრობლემის გადაჭრის გზები და დაეხმაროს მათ მოვლენათა ჯაჭვის მთლიანობის აღქმაში.

28. წერის სახელოსნო

„წერის სახელოსნოში“ მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად, აქტიურად ერთვებიან წერის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტატორისა და მწვრთნელის როლს ასრულებს. მოსწავლეები წერენ და ეხმარებიან ერთმანეთს წერის პროცესში.

„წერის სახელოსნო“ არის საგანგებო დრო, როდესაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ განსაზღვრონ თემა და მიზანი, რის შესახებაც უნდა შეასრულონ წერითი დავალება. ამგვარი დავალება შეიძლება კვირაში რამდენჯერმე შესრულდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- კომუნიკაციურ უნარებს;
- სოციალურ უნარებს.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

„წერის სახელოსნო“ რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

1. სწავლება

- ერთობლივი წერა (მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად წერენ);
- მინი–გაკვეთილი (მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ დაწერონ აბზაცი, წინდადება, მოსაზრება და ასე შემდეგ);
- დემონსტრირება (მასწავლებელი უჩვენებს და მოუთხრობს მოსწავლეებს საკუთარი წერის პროცესის შესახებ).

2. დამოუკიდებლად წერა

- მოსწავლეები ასრულებენ წერით დავალებას;
- მასწავლებელიც წერს;
- მოსწავლეები იღებენ უკუკავშირს მასწავლებლისგან ;
- მოსწავლეები საუბრობენ ერთმანეთის ნამუშევრების შესახებ.

3. მოსწავლეთა ნამუშევრების გაზიარება

- ნაწერის გაზიარება სხვადასხვა ფორმატში ხორციელდება (მაგ., ორი მოსწავლე წარუდგენს აუდიტორიას პოსტერებს, მოსწავლე ხმამაღლა უკითხავს აუდიტორიას საკუთარ ნაწერს, მოსწავლეთა ჯგუფი ასრულებს მცირე დრამას);
- მთელი კლასი იკრიბება წერითი დავალების გაზიარების მიზნით.

29. „რაფთ“ მეთოდი

წერითი დავალებების სიხშირე მოსწავლეებს უვითარებს წერის უნარ-ჩვევებს. „რაფთი“ არის მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, უკეთ გააცნობიეროს საკუთარი როლი წერის პროცესში. ამ გზით ის უკეთესად აყალიბებს იდეებს და უფრო გასაგებად გადასცემს მათ მკითხველს. ამას გარდა, „რაფთ“ მეთოდი ეხმარება მოსწავლეს, რომ ყურადღება გაამახვილოს მკითხველთა აუდიტორიაზე, წერის მრავალფეროვან ფორმატებზე და იმ თემაზე, რომელზეც წერს. მოცემული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, რომ წერონ შემოქმედებითად, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედონ საკითხს და წერონ განსხვავებული აუდიტორიისთვის. აუდიტორიისა და მიზნის გაცნობიერება მნიშვნელოვანია წერის დროს.

როლი: ვინ ხარ შენ, როგორც ტექსტის ავტორი – ცნობილი მომღერალი, მინისტრი, ყვავილი?

აუდიტორია/მკითხველი: ვის სწერ – მდინარეს? საკუთარ თავს? კომპანიას?

ფორმატი: რა ფორმატში აპირებ წერას – დღიურის ჩანაწერის, საგაზეთო რეპორტაჟის, სასიყვარულო წერილის?

თემა: რის შესახებ წერ? რას ეხება შენი ნაწერი?

ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- კომუნიკაციურ უნარებს;
- სოციალურ უნარებს;
- საპრეზენტაციო უნარებს.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. ესაუბრეთ და განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წერის დროს სასურველია სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინება. უშუალოდ წერის დაწყებამდე ავტორს ხშირად უწევს იმაზე ფიქრი, თუ რა თემაზე სურს დაწერა, რა როლს ასრულებს თვითონ, ვინ არის მკითხველთა აუდიტორია და რა ფორმატია კონკრეტული ნაწერისთვის ყველაზე შესაფერისი.

   ამის შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ ოთხი ელემენტის მიხედვით შექმნიან წერით ნამუშევრებს.

2. სასურველია, რომ ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის აღწერა პლაკატის სახით გამოიკრას საკლასო ოთახში.
3. ნიმუშის სახით წაუკითხეთ მოსწავლეებს (ან დაურიგეთ და თავად წააკითხეთ) მოსწავლეებს წერილი, რასაც შემდეგ მოჰყვება ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის განხილვა.

   საკუთარი მოდელის დემონსტრირებით აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ როგორ იმუშავებდით თქვენ „რაფთის" გამოყენებით. დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე ჩამონერეთ შესაძლო თემების, როლების, მკითხველებისა და ფორმატების მაგალითებს. ჩამონათვალის შექმნის პროცესში სასურველია მოსწავლეების ჩართვა. დამატებით შეგიძლიათ იმ ძირითადი ზმნების ჩამოწერაც, რომლებიც ამა თუ იმ „რაფთ" კომბინაციას შეესაბამება.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ საინტერესო თემა, რომელზეც ბოლო დროს იმუშავეს. მნიშვნელოვანია, რომ თემის განსაზღვრის პროცესში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამის შემდეგ კლასი ერთობლივად განსაზღვრავს როლს, აუდიტორიასა და ფორმატს.

   აქ ბევრი სხვადასხვა კომბინაციის მოფიქრება შეიძლება. ზოგჯერ მასწავლებელი ოთხივე ელემენტს თვითონ სთავაზობს მოსწავლეებს, ზოგჯერ კი – პირიქით, ოთხივე ელემენტს მოსწავლეები ირჩევენ. არსებობს შუალედური ვარიანტებიც, როცა მასწავლებელი ერთ ან ორ ელემენტს თავად წარუდგენს მოსწავლეებს, დანარჩენის განსაზღვრაში კი მათ ანიჭებს არჩევანის უფლებას. კომბინაციის ადეკვატურობა სასწავლო მიზნებზეა დამოკიდებული.
5. მოსწავლეები იწყებენ წერას (სასურველია ხუთსაფეხურიანი წერის პროცესის თანმიმდევრობის დაცვა). ეს შეიძლება ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში გაკეთდეს
6. სასურველია, რომ წერის პროცესში მიხვიდეთ მოსწავლეებთან (წყვილებთან, ჯგუფებთან) და, საჭიროებისამებრ, ხმადაბლა მისცეთ შესაბამისი რჩევები.
7. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები უზიარებენ საკუთარ ნამუშევარს კლასს. იმართება მსჯელობა. აუცილებელია მასწავლებლის უკუკავშირი.

მოსწავლეთა მუშაობის შეფასებისათვის შესაძლებელია სპეციალური რუბრიკის გამოყენება (იხ. ქვემოთ). რასაკვირველია, შეგიძლიათ რუბრიკის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დამატება ან შეცვლა.

„რაფთის“ რუბრიკის ნიმუში

კრიტერიუმი	საუკეთესო	საშუალო	გასაუმჯობე-სებელი
შინაარსი	ჩანს თემის ცოდნა. ნაწერი შეიცავს მნიშვნელოვან მოსაზრებებს, ფაქტებსა და მტკიცებულებებს.	ჩანს თემის ცოდნა და გააზრების მცდელობა. მოცემულია არასაკმარისი ფაქტები და მტკიცებულებები.	ჩანს თემის ზედაპირული ცოდნა. ნაწერს აკლია ფაქტები და მტკიცებუ-ლებები
წერის ტექნიკა	აბზაცები და წინადადებები გამართულია. სწორად არის გამოყენებული გრამატიკული წესები.	აბზაცები და წინადადებები გამართულია. სწორად არის გამოყენებული გრამატიკული წესები არის მცირე რაოდენობით შეცდომები.	აბზაცები და წინადადებები გამართული არ არის. არის ბევრი გრამატიკული შეცდომა.
პრეზენტაცია	ნაწერი სუფთაა, ადვილად იკითხება. გამდიდრებულია დამატებითი ელე-მენტებით (გრაფიკი, დიაგრამა, ცხრილი, ილუსტრაციები)	ნაწერი სუფთაა, მაგრამ აკლია დამატებითი ელემენტები (გრაფიკი, დიაგრამა, ცხრილი, ილუსტრაციები)	ნაწერი არ არის სუფთა არ არის გაფორმებული დამატებითი ელემენტებით.

30. „ბრილიანტი"

„ბრილიანტი" არის არაფორმალური წერის გრაფიკული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ საკუთარ ცოდნასა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის შესახებ. მეთოდი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში.

მისი გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებს საკითხის/თემის გაგება–გააზრებაში, საკუთარი განწყობა–დამოკიდებულების საინტერესო ფორმით გამოხატვაში, გრამატიკული ფორმების (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა) დაუფლებასა და გამოყენებაში.

ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- კომუნიკაციურ უნარებს;
- სოციალურ უნარებს;
- საპრეზენტაციო უნარებს.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

- **გრაფიკული ინსტრუმენტის გამოყენების ეტაპები:**

1. დახაზეთ დაფაზე „ბრილიანტის" გრაფიკული სქემა. თითოეული საფეხურს მიაწერეთ შესაბამისი მითითება (I სტრიქონი – 1 არსებითი სახელი, II - 2 ზედსართავი სახელი, III – 3 ზმნა, IV - ოთხსიტყვიანი ფრაზა, V – 3 ზმნა, VI – 2 ზედსართავი სახელი, VII – 1 არსებითი სახელი), რომელთა მიხედვითაც სქემა უნდა შეივსოს.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახაზონ სქემა თავიანთ ფურცლებზეც.

„ბრილიანტის“ ნიმუში



- **გრაფიკული ინსტრუმენტის გამოყენების პროცედურის მოდელირება მასწავლებლის მიერ**

3. ვიდრე მოსწავლეებს სთხოვთ „ბრილიანტის“ სქემის დამოუკიდებლად შევსებას, თავად უნდა აჩვენოთ ამის მაგალითი და გზადაგზა მკაფიოდ განუმარტოთ, სად, რას და რატომ წერთ.
პირველ ხაზზე დაწერეთ საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი არსებითი სახელი (საკვანძო სიტყვა), ბოლო ხაზზე კი საკვანძო (პირველ ხაზზე დაწერილი) არსებითი სახელის შემცვლელი სიტყვა/სინონიმი. მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას. მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს. ანალოგიურად, ბოლოდან მეორე ხაზზე დაწერილი ზედსართავები ახასიათებს საკვანძო სიტყვის შემცვლელ ქვემდებარეს, ხოლო ბოლოდან მესამე სტრიქონზე დაწერილი სამი ზმნა გამოხატავს საკვანძო სიტყვის შემცვლელი ქვემდებარის მოქმედებებს. „ბრილიანტის“ ცენტრალურ (თავიდან მე-4) სტრიქონზე დაწერეთ ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომლითაც განხილული საკითხის დედააზრი/მთავარი სათქმელი/არსი იქნება

გადმოცემული. აგრეთვე, შეიძლება ამ ფრაზით გადმოვცეთ ის ასოციაცია/დამოკიდებულება/შეხედულება, რომელიც გვიჩნდება ამ თემასთან დაკავშირებით.

- **„ბრილიანტის“ ეფექტური ნიმუშების ჩვენება მოსწავლეებისათვის**

4. სანამ მოსწავლეები დამოუკიდებლად წერას დაიწყებენ, წაუკითხეთ „ბრილიანტის„ სქემით დწერილი ლექსების რამდენიმე კარგი მაგალითი, რათა დაეხმაროთ მათ მეთოდის პრინციპის უკეთ გაანალიზებაში.
   ქვემოთ მოცემულია „ბრილიანტის“ რამდენიმე ნიმუში

- **მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობა „ბრილიანტზე“**

5. სთხოვეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეავსონ „ბრილიანტის“ გრაფიკული სქემა. სასურველია, ამ დროს იაროთ კლასში და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რჩევებით ხელი შეუწყოთ მოსწავლეებს თხზვის პროცესში.

„ბრილიანტის“ ვარიაციები

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან გრაფიკული ინსტრუმენტის დამოუკიდებლად გამოყენებაში, შესაძლებელია:

- შემცვლელი სიტყვის ნაცვლად მონათესავე სიტყვების შემოტანა. ასეთი „ბრილიანტი“ იწყება საკვანძო ცნების აღწერით და თანდათანობით მეორე სიტყვის აღწერაზე გადადის.
- ასევე, შეიძლება საპირისპირო ცნებების ან ბინარული ოპოზიტების შემოტანა. ასეთი „ბრილიანტის“ მეოთხე ხაზზე პირველი ორი სიტყვა ზედა საკვანძო ოპოზიტს უკავშირდება, ბოლო ორი სიტყვა კი – ქვედა საკვანძო ოპოზიტს.

ქვემოთ მოცემულია „ბრილიანტის“ ვარიაციების რამდენიმე ნიმუში:

ქუჩის ბავშვი გაყინული, დაძონძილი დაძრწის, ითხოვს, ართმევს, მისი ოცნებები არავის ახსოვს. მალავს, ეძებს, წვალობს, გარიყული პატარა მაწანწალა	ზამთარი თეთრი და გათოშილი მოწყენა, დაღლა, გაძლება ქნებ გაგვათბოს რამდენიმე დღესასწაულმა ვოცნებობ, ვფიქრობ, ველი ლამაზ, ბრწყინვალე ახალ წელს.

წაკითხულ ნაწარმოებზე რეაგირება. ასეთი „ბრილიანტის“ სქემა ქვემოთ არის მოცემული.

პირველი ხაზი: წაკითხული ნაწარმოების სათაური

მეორე ხაზი: მთავარი პერსონაჟი

მესამე ხაზი: მეორეხარისხოვანი პერსონაჟები

მეოთხე ხაზი: საწყისი კონფლიქტი

მეხუთე ხაზი: ძირითადი სიუჟეტური მოვლენები

მეექვსე ხაზი: კონფლიქტის გადაჭრა

მეშვიდე ხაზი: ნაწარმოების ჟანრი

რ. ინანიშვილის მოთხრობა „მუხა'

მუხა
ბაბუა, შვილიშვილითურთ
მუხის ფულუროში იებს
პატიების ნიშნად ქუდი მოუხადა
ბავშვობაში ტყვიის სროლისთვის
მონანულ მოხუცზეა
მოთხრობა

31. ბარათების გამოყენების მეთოდი

ამ მეთოდის გამოყენებისას, მონაწილეები წერილობით ახდენენ საკუთარი მოსაზრებების ფორმულირებას მიცემული დავალების ირგვლივ ან პასუხობენ ერთ (ან რამდენიმე) ზუსტად ფორმულირებულ შეკითხვას. ჯგუფის წევრები საკუთარ პასუხებს ბარათებზე წერენ. საბოლოოდ, ბარათებს დაფაზე/ფლიპჩარტზე ამაგრებენ, რაც მათი განხილვის და სტრუქტურირების შესაძლებლობას იძლევა.

ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება:

- **გამოკითხვის ჩატარებისას** – ჯგუფის მოსაზრებების, მიზნების, საკითხის მიმართ მონაწილეების დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას;
- **ჯგუფში არსებული ცოდნის დონის შემოწმებისას;**
- **იდეების შეგროვებისას** (გონებირვი იერიშის დროს).

მეთდის გამოყენება ხელს უწყობს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- კომუნიკაციურ უნარებს;
- სოციალურ უნარებს;
- საპრეზენტაციო უნარებს.

მეთოდის გამოყენების წესები:

ბარათების მეთოდის ეფექტურობა დამოკიდებულია:

- ამოცანებისა და საკითხების ზუსტად ფორმულირებაზე;
- ფასილიტატორის უნარზე სწრაფად და გონივრულად მოახდინოს ბარათების სტრუქტურირება;
- მონაწილეების სურვილსა და მზადყოფნაზე, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშაობის პროცესში.

ეტაპები:

1. მასწავლებელი ხსნის ბარათებთან მუშაობის ძირითად წესებს:

- ერთი მოსაზრება იწერება ერთ ბარათზე;
- ბარათზე დაწერილი აზრი ზედმეტი ახსნის გარეშეც გასაგები უნდა იყოს;
- შრიფტი უნდა იყოს მთავრული და დიდი ზომის.

2. ამოცანის დასახვა/დავალების მიცემა:

- მასწავლებელი ახდენს საკვანძო შეკითხვის ვიზუალიზაციას ისე, რომ ის მონაწილეების მხედველობის ველში იყოს მთელი სესიის მანძილზე;
- შეკითხვა უნდა იყოს გასაგები და ზუსტად ფორმულირებული;
- თუკი მასწავლებელი ერთ შეკითხვაზე მეტს სვამს, აუცილებელია, სხვადასხვა პასუხებისათვის სხვადასხვა ფერის ბარათების გამოყოფა. ეს ბარათების სტრუქტურირებას ამარტივებს.

3. ამოცანის განხორციელება/დავალების შესრულება:

- მონაწილეებს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი დრო უნდა გამოვუყოთ. წამყვანს შეუძლია სთხოვოს მათ, დაწერონ საკუთარი მოსაზრებები იმდენ ბარათზე, რამდენიც დასჭირდებათ. თუმცა, ზოგჯერ გამოსაყენებელი ბარათების რაოდენობის შეზღუდვაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს

4. ბარათების განლაგება დაფაზე/ფლიპჩარტზე

მონაწილეებს შეუძლიათ თავად მიამაგრონ ბარათები დაფაზე/ფლიპ-ჩარტზე. შესაძლებელია, ეს ფუნქცია საკუთარ თავზე მასწავლებელმაც აიღოს. ბარათები უნდა განთავსდეს დაფაზე/ფლიპჩარტზე:

- მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე დაასრულებს მათზე მუშაობას (რეკომენდებულია იმ შემთხვევებში, როდესაც ფასილიტატორს სურს, რომ მთელი ჯგუფი ჩართოს დამუშავების/განხილვის პროცესში);
- მაშინვე, როგორც კი ცალკეული მონაწილე დაამთავრებს ბარათზე მუშაობას (ამ შემთხვევაში დაფაზე/ფლიპჩარტზე არ აღმოჩნდება ერთნაირი ან მსგავსი მოსაზრებების შემცველი ბარათები).

შენიშვნა: დაფაზე/ფლიპჩარტზე მოხვედრის შემდეგ, ბარათს უკვე არ ჰყავს ავტორი.

5. ბარათზე/ფლიპჩარტზე არსებული ბარათების მიმოხილვა

- მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ბარათზე დაწერილ მოსაზრებას ჯგუფის წინაშე და აცნობს მონაწილეებს ბარათის შინაარსს. გამოცდილება აჩვენებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილეები არ ეცნობიან ყველა ბარათზე დაწერილ მოსაზრებას;
- ამ სტადიაზე არ ხდება ბარათების განხილვა, მაგრამ კეთდება განსაზღვრული მითითებები შემდგომი განხილვისთვის. გაურკვეველი ფორმულირებების სრულყოფილად დამუშავებას ჯგუფი ახდენს;

თუკი ბარათები უკვე სტრუქტურირებულია შეკითხვის შესაბამისად დაფაზე/ფლიპჩარტზე, შემდგომი ეტაპი შეიძლება გამოვტოვოთ.

6. სტრუქტურირება

მასწავლებელი ჯგუფთან ერთად ახდენს პასუხების სტრუქტურირებას დაფაზე/ფლიპჩარტზე.

სტრუქტურირების შესაძლო მეთოდები:

- შინაარსის მიხედვით მსგავსი ბარათების განლაგება ხდება ერთად, მას შემდეგ, რაც მათ საერთო სათაურს შეურჩევენ (ინდუქცია);
- ჯერ ხდება კატეგორიების განსაზღვრა (სათაურები) და შემდეგ - მათ ქვეშ ბარათების დაჯგუფება (დედუქცია);
- ზოგჯერ, გამოიყენება სტრუქტურირების ლოგიკური საფუძველი. მაგალითად, მიზეზი/შედეგი ან საშუალება/რეზულტატი (პრობლემების ან მიზნების ანალიზისას).

7. შედეგების განხილვა და დასკვნების გამოტანა

განიხილება პროცესის საბოლოო შედეგი/რეზულტატი – დასკვნები კეთდება ძირითადი საკითხის გათვალისწინებით, რასაც მომავალი საქმიანობების დაგეგმვა მოყვება.

32. გადაწყვეტილების მიღების / არჩევანის მატრიცა

გადაწყვეტილების მატრიცა იძლევა საშუალებას ინდივიდუალურად, ან გუნდში დადგინდეს, გაანალიზდეს და შეფასდეს სხვადასხვა ინფორმაციებს შორის არსებული კავშირი. მატრიცა განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღებისას გავითვალისწინოთ მრავალი ფაქტორი და შევაფასოთ თითოეული ფაქტორის შედარებითი მნიშვნელობა

გადაწყვეტილების მატრიცა ხშირად გამოიყენება დაგეგმვის დროს, როდესაც საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გაანალიზება და ალტერნატივების შეფასება. მატრიცა ასევე გამოსადეგია პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეფასებისას.

ეს მეთოდი ხელს უწყობს:

- ანალიტიკური აზროვნების უნარს;
- ევრისტიკულ აზროვნებას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- შემოქმედებით აზროვნებას;
- კომუნიკაციის უნარს.

როგორ უნდა გამოვიყენოთ მატრიცა:

1) **განსაზღვრეთ ალტერნატივები:** გუნდის საჭიროებებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს პოტენციური გადაწყვეტილებები – ვარიანტები, რომელთა შორისაც ვაკეთებთ არჩევანს.. ჩამოწერეთ ისინი მატრიცის ზედა ნაწილში.

2) **განსაზღვრეთ გადაწტვეტილების** / არჩევის **კრიტერიუმები**. ეს საკვანძო კრიტერიუმები შესაძლოა გამოიმუშავოთ გონებრივი იერიშით. დარწმუნდით, რომ ყველას ნათლად ესმის ყველა კრიტერიუმის მნიშვნელობა. ასევე დარწმუნდით, რომ კრიტერიუმები ისეა შედგენილი, რომ მათდამი მინიჭებული მაღალი ქულა ნიშნავს სასურველ შედეგს, ხოლო დაბალი ქულა ნიშნავს არასასურველ შედეგს. ჩამოწერეთ კრიტერიუმები მატრიცეს მარცხენა მხარეს.

3) **მიანიჭეთ წონა** - თუ რომელიმე კრიტერიუმი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა, შეთანხმდით და მიანიჭეთ მათ შესაბამისი წონები (მაგ. 1,2,3).

4) შექმენით **ქულების სისტემა:** ალტერნატივების შეფასების წინ, გუნდი უნდა შთანხმდეს ქულების სისტემაზე. განსაზღვრეთ დიაპაზონი (მაგ. 1-დან 5-მდე, ან 1, 3, 5) და დარწმუნდით, რომ გუნდის ყველა წევრს კარგად ესმის, თუ რა არის დაბალი, საშუალო და მაღალი ქულა.

5) შეაფასეთ **ალტერნატივები**: შეაფასეთ თითოეული ალტერნატივა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ეს უნდა მოხდეს ჯგუფური კონსენსუსით, ან ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის გზით (გუნდის წევრების ინდივიდუალური ქულებიდან).

6) **შეაჯამეთ ქულები** — გადაამრავლეთ თითოეული კრიტერიუმის ქულა მის წონის მაჩვენებელზე. შემდეგ შეაჯამეთ თითოეული ალტერნატივის ქულა და გააანალიზეთ შედეგები.

33. ვიზუალიზაცია – სქემების გამოყენება

სწავლების პროცესში, ვიზუალიზაცია გამოიყენება ტექნიკური მნიშვნელობით და ზეპირი კომუნიკაციის ვიზუალური საშუალებებით გამდიდრებას ნიშნავს. ადამიანი ინფორმაციის უმეტეს ნაწილს სწორედ მხედველობის დახმარებით, ვიზუალურად იღებს. მასწავლებელი ყველა შესატყვის მომენტში უნდა მიმართავდეს ვიზუალიზაციას. მაგალითად, ჯგუფში თემის ან მოსაზრების განხილვისას, ალტერნატიული წინადადებების შეფასებისას, პრობლემების იდენტიფიკაციისას და ასევე, სიტუაციის ანალიზისას.

მეთოდი ხელს უწყობს:

- კოგნიტური აზროვნების უნარს;
- ანალიტიკური აზროვნების უნარს;
- კომუნიკაციის უნარს;
- დისკურსული აზროვნების უნარს;
- წარმოსახვით აზროვნებას.

ვიზუალიზაციის მნიშვნელოვანი წესები

ნუ დააგვიანებთ ვიზუალუზაციის მეთოდის გამოყენებას – არ არის მიზანშეწონილი გაკვეთილის მხოლოდ ზეპირსიტყვიერად წარმართვა და ვიზუალიზაციის შემდგომი დროისთვის გადადება. მოსაზრების გამოთქმისთანავე, დააფიქსირეთ იდეა ვიზუალური საშუალებით;

გამოიყენეთ ვიზუალიზაციის შესატყვისი ფორმა – არსებობს ორი ძირითადი მეთოდი: ბარათების ან დაფის გამოყენება. ბარათების გამოყენება ეფექტურია, როდესაც მონაწილეების იდეების შეგროვება და დამუშავება გვინდა. მასწავლებელის ან მოსწავლის, ასევე, შეუძლია ჩანიშვნები ფლიპჩარტზე ან დაფაზე გააკეთოს. ბარათებს ერთი ნაკლი აქვს – მათი მცირე ზომა სიტყვების რაოდენობას ამცირებს. მეორეს მხრივ, ბარათების გამოყენება კარგია, რადგანაც შეიძლება მათი გადაადგილება და დაჯგუფება დაფაზე/ფლიპჩარტზე. დაფის/ფლიპჩარტის გამოყენების შემთხვევაში, ძნელია მასზე ჩამოწერილი მოსაზრებების გადაჯგუფება, მაგრამ ეს საშუალება ძალიან ეფექტური შეიძლება იყოს თუკი მასწავლებელი ან მონაწილე კარგად ფლობს ვიზუალიზაციის უნარებს (ვიზუალიზაციის საშუალებების გამოყენების მეთოდებს).

სტრუქტურირება – დიალოგის, დისკუსიის თუ ჯგუფური მუშაობის სტრუქტურირება დამყარებულია იმ დასკვნებზე, რომელსაც ჯგუფი აკეთებს და ფასილიტატორი აფიქსირებს. ჯგუფური მუშაობის უფრო კომპლექსური თემების სტრუქტურირებისთვის, გამოიყენება ინფორმაციის სორტირების პრინციპები. მათ შორის ყველაზე მთავარია:

კლასტერები – ისინი მოიცავენ მოსაზრებებს, რომლებიც მსგავსია (ინდუქციური მეთოდი) და ერთ კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს.

სკალები – სტრუქტურირებულია რაოდენობრივ ან დროით ურთიერთდამოკიდებულებაზე დაფუძნებით. ისინი შეიძლება განთავსდეს ერთ ან ორ განზომილებათა ღერძის გასწვრივ.

ჩამონათვალი — სხვადასხვა სათაურების ქვეშ წინადადებების, მოსაზრებების, გამოთქმების დაჯგუფება (დედუქციური მეთოდია).

დრო	მოქმედება	ფერი	საკვები	პირადი
დილა	სპორტი	ლურჯი	ფაფა	თამაში
შესვენება	მუშაობა	ნარინჯისფერი	ცხელი კერძი	მეგობარი
ნაშუადღევი	მოგზაურობა	ნათელი/კაშკაშა	ხილი	ღამის პერანგი
საღამო				საწოლი
ვახშამი				ტკბილეული

ცხრილი (ან მატრიცა) – ცხრილები – ჰორიზონტალური და ვერტიკალური სათაურების ქვეშ გაერთიანებული და სტრუქტურირებული ურთიერთდაკავშირებული ჩამონათვალის შედეგია.

გამრავლება	**10**	**20**	**30**	**40**
3				
4				
5				

ხე – ამ სქემის გამოყენება შეიძლება მოვლენებს/პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ვიზუალიზაციისათვის.



34. სეგმენტური მეთოდი

სეგმენტური მეთოდი არის გრაფიკულად სტრუქტურირებული თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ჯგუფის ყველა წევრის ინდივიდუალური მუშაობის შედეგების შერწყმით მომზადდეს და კლასს წარედგინოს ჯგუფის საერთო პროდუქტი.

მეთოდი ავითარებს:

- აბსტრაქტული აზროვნების უნარს;
- კოლაბორაციულ უნარებს;
- სინთეზურ აზროვნებას;
- ანალიტკურ აზროვნებას;
- კომუნიკაციის უნარს.

მეთოდის მიმდინარეობა

- კლასი იყოფა ოთხ, ხუთ, ან ექვსკაციან ჯგუფებად.
- თითოეულ ჯგუფს ურიგდება მუშაობისთვის საჭირო რესურსები - 3 ან უფრო დიდი ზომის ფორმატი და მარკერები.
- ფორმატი იყოფა სეგმენტებად - ერთ ცენტრალურ და რამდენიმე გარე სეგმენტად (გარე სეგმენტების რაოდენობა ჯგუფის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ჯგუფი ოთხი წევრისგან შედგება, გარე სეგმენტიც ოთხია და ა.შ.).



იხ. ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება:

თითოეული გარე სეგმენტი ჯგუფის თითო წევრს ეკუთვნის, ხოლო ცენტრალური - მთელ ჯგუფს.

- ჯგუფის ყოველი წევრი იღებს მასწავლებლისგან დავალებას (ერთსა და იმავეს ან სხვადასხვას).
- მოსწავლეები საკუთარ იდეებს მათთვის განკუთვნილ სეგმენტში აღწერენ და ხელის მოწერით ადასტურებენ. ამ ეტაპზე მეთოდი მოითხოვს სრულ მდუმარებას, ერთმანეთთან კომუნიკაცია იკრძალება.
- მას შემდეგ, რაც ჯგუფის თითოეული წევრი შეავსებს საკუთარ სეგმენტს, მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის ნააზრევს და თუ საჭიროდ მიიჩნიეს, ურთავენ წერილობით კომენტარებს.
- მომდევნო საფეხურზე იმართება დისკუსია, ერთიანდება ყველა წევრის ნამუშევარი, გამოიყოფა ყველასათვის მისაღები იდეები, იბადება ახალიც. საბოლოოდ ყველა იდეა ჯამდება და ფიქსირდება ცენტრალურ სეგმენტში, სადაც ჯგუფის ყველა წევრი ანერს ხელს.
- უკანასკნელ ეტაპზე თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის შესრულებულ სამუშაოს.

მეთოდის გამოყენება

სეგმენტური მეთოდი ეკუთვნის იმ უნივერსალურ მეთოდთა რიცხვს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სასწავლო ჯგუფსა (ელემენტარული სკოლით დაწყებული, მოზრდილთა განათლებით დამთავრებული) და დისციპლინაში. ეს მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც ჯგუფური დისკუსიის ალტერნატიული ვარიანტი, სადაც ჯგუფის თითოეული წევრის აზრს ისმენენ და ითვალისწინებენ. მეთოდი მეტად ეფექტურია პრობლემის გადაჭრის გზების საპოვნელად - აქამდე მოსწავლეთა იდეების განხილვასა და შეჯერებას მივყავართ. მეთოდი იმითაც არის უნივერსალური, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც თემის შესწავლის დაწყებისას, როდესაც მასწავლებელს სჭირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება, ასევე შესწავლის პროცესში, როდესაც გვსურს გავიგოთ, როგორ მიმდინარეობს ის, და დასრულება-შეჯამებისას, რაც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე ჯგუფის მიღწევა განსაზღვრული ეტაპის ბოლოს.

35. ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი მეცნიერებაში არის ობიექტური სინამდვილის შემეცნების ერთ–ერთი ფორმა. ის კვლევის მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი მიზანია კვლევის ჰიპოთეზების შემოწმება ექსპერიმენტული პირობების მართვის გზით. მკვლავარი ქმნის ან გამოძებნის ისეთ პირობებს, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია მისთვის საინტერესო მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის გამოსავლენად.

მისი გამოყენება შემდეგ კვლევით უნარებს ავითარებს:

- დაკვირვება, აღწერა;
- კვლევის საგნის განსაზღვრა;
- კვლევის ეტაპების განსაზღვრა;
- აღრიცხვა;
- კლასიფიკაცია;
- გაზომვა;
- კომუნიკაცია;
- მონაცემების ინტერპრეტაცია;
- განჭვრეტა/ჰიპოთეზის გამოთქმა;
- ცდის დაგეგმვა;
- ცდის ჩატარება;
- მონაცემთა ანალიზი და შეფასება;
- მოდელის შექმნა და გამოყენება.

ექსპერიმენტი შემდეგი ოპერაციებისაგან/ეტაპებისაგან შედგება:

1. ამოცანისა და ძირითადი ჰიპოთეზების წამოყენება და დაზუსტება,
2. იმ ემპირიული ობიექტის შერჩევა, რომლის ფარგლებშიც ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს.
3. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების საერთო გეგმის შემუშავება.
4. სამუშაო ჰიპოთეზების ფორმულირება და დაზუსტება.
5 ექსპერიმენტული სიტუაციის შექმნა, ჰიპოთეზური მიზეზის ამოქმედება და ობიექტის პერიოდული გაზომვა.
6. რეზულტატების ანალიზი.

ექსპერიმენტში ჰიპოთეზის დადასტურების (დამტკიცების) ან უარყოფის პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია. ჰიპოთეზის შემოწმება ხდება ექსპერიმენტული ობიექტისა (რომელიც დამოკიდებული ცვლადია და დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედებას განიცდის) და საკონტროლო ჯგუფის (რომელიც არ განიცდის ცვლადის ზემოქმედებას) შედარების გზით.

ექსპერიმენტად დასმული ამოცანის სპეციფიკის მიხედვით ექსპერიმენტი არის:

1. სამეცნიერო
2. კვლევითი
3. პრაქტიკული.

ჰიპოთეზის დამტკიცების ლოგიკური ხასიათის მიხედვით განასხვავებენ:

1. პარალელურ;
2. თანმიმდევრულ ექსპერიმენტებს.

პარალელურია ექსპერიმენტები, როდესაც არსებობს როგორც ექსპერიმენტული, ისე საკონტროლო ჯგუფები, მასალები და ჰიპოთეზის დამტკიცება ემყარება ერთსა და იმავე დროს ორივე ობიექტის მდგომარეობის შედარებას.

თანმიმდევრულია ისეთი გამოკვლევა, რომელშიც საკონტროლო ჯგუფი/ მასალა, როგორც დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, არ არსებობს.

სიტუაციის მიხედვით ექსპერიმენტები იყოფა:

1. საველე
2. ლაბორატორიულ ექსპერიმენტად.

საველეა ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ბუნებრივ პირობებში.

ლაბორატორიულია ექსპერიმენტი, რომლის დროსაც თავად მკვლევარი ქმნის პირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ბოჭორიშვილი, ნ ნაბულიშვილი ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები 1 და 2 ნაწილი 2005.
2. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008
3. ნიგნიერების, მათემატიკური წიგნიერების და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2011
4. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
5. ეფექტური სწავლება თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი. 2010
6. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. A Pearson Education Company. 2001. 8th edition
7. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups. Forum. 2002. Volume40, Number 1, pg44-49
8. http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html
9. http://eleaston.com/methods.html
10. http://www4 ncsu.edu/unity/lockers/users/f/felder/public/Papers/Largeclasses.htm
11. http://www.ops.org/reading/blooms_taxonomy.html
12. http://www nwlink.com/~donclark/hrd/bloom.html
13. http://www.naec.ge/images/doc/MASC_SERT/profesiuli_unarebi_i_varianti.pdf
14. http://www.naec.ge/images/doc/MASC_SERT/profesiuli_unarebi_ii_varianti.pdf
15. http://www.naec.ge/images/doc/MASC_SERT/profesiuli_unarebi_iii_varianti.pdf
16. http://www.naec.ge/images/doc/MASC_SERT/profesiuli_unarebi_iv_varianti.pdf